საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 29 ივნისი. 2020 წ. №80 (9006) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კურდღლების შემოსევა პარლამენტში

ბოროტი ოპოზიცია ქვეყნის მტრობაში ჩემპიონია!

③

ილია II: შვილებს უნდა ასწავლოთ, გააფრთხილოთ, რომ ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, თავისი ხელით აძლევს სულს ეშმაკს!

შვილებს უნდა ასწავლოთ, გააფრთხილოთ და უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, თავისი ხელით აძლევს სულს ეშმაკს, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ისაუბრა.

ილია მეორის თქმით, ღვთის სასუფეველი არის მარადიული და ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სასუფევლის მკვიდრი გახდეს.

„ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ. დღეს სახარება გვეუბნება ჩვენ იმას, თუ რა არის მთავარი. ადამიანმა უნდა იფიქროს, მთავარი რა არის, რა არის მარადიული და რა არის დროებითი. სასუფეველი ღვთისა არის მთავარი, დაუსრულებელი და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მკვიდრი გავხდეთ სასუფევლისა.

მე მყავდა სტუდენტები. ერთი შემთხვევა იყო, მოიტანეს სასულიერო აკადემიაში ფილმი და დარბაზში აჩვენებდნენ. იყო მრავალი სტუდენტი გრიპით დაავადებული, მაგრამ მაინც წავიდნენ იმ დარბაზში, კინოდარბაზში და უყურებდნენ იმ ფილმს. მე სიცხე მქონდა და ვერ წავედი. დიდი დარბაზი იყო, იქ ვიწექით და დავრჩით ორის წუთებამდე და საოცარი რამ მოხდა. მე კარგად ვიცნობდი იმ სტუდენტს, ამიტომ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რის შიში გაქვს, რატომ გეშინია. მეშინოდა იმ სტუდენტისა და მკითხა, თერმომეტრი სად არისო. მე ვუჩვენე და სულ ვნატრობდი, რომ მელოდებოდნენ სტუდენტები-მეთქი.

მოვიდნენ და დავმშვიდდი. დილაზე

რომ გავიღვიძეთ, ის სტუდენტი არ იყო ადგილზე. კორიდორი იყო, სადაც გავიდა სტუდენტი და საშინელება ნახა: ის სტუდენტი, რომლისაგან მე მეშინოდა, პალტოების დასაკიდებელზე ეკიდა ჩამომხრჩვალი. ესე იგი, მას ჰყავდა დაპატრონებული ეშმაკი და ეშმაკი მაშინებდა მე.

ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. დღეს დაასაფლავეს 11 წლის ბიჭი, რომელმაც მოიკლა თავი. რომ გეკითხა, რატომ მოიკალი თავიო, ვერ გეტყოდა, ეშმაკი სდევდა. გალაკტიონს აქვს გამონათქვამი, ბავშვობიდან თავის მოკვლა მინდოდაო. იმდენი სდია, იმდენი ეცადა, რომ მაინც მოაკვლევინა თავი.

ღმერთმა ყველა დაიფაროს, როგორც კი მოვა ასეთი აზრი, უნდა წავიდეს ადამიანი მოძღვართან, აღსარებაში უნდა უთხრას, აღსარების საშუალებით განიდევნება. გალაკტიონმა არ გააკეთა ეს, მაგრამ გალაკტიონს ჰქონდა სულიერი გადახრები. გახსოვთ, ტერენტი გრანელი რას ამბობს, გალაკტიონში არის დემონიო და ჩემში უფრო ანგელოზია... ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს.

შვილებს უნდა ასწავლოთ, უნდა გააფრთხილოთ და უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, თავისი ხელით აძლევს თავის სულს ეშმაკს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენ ვცხოვრობთ მძიმე დროს, რთულ დროსაც, უნდა გქონდეთ სახლში ნაკურთხი წყალი, ნახშირი, საკმეველი და აუცილებლად ყოველ დღე ასხუროთ თქვენი საწოლი, თქვენი ოთახი, ეზო უნდა ასხუროთ ნაკურთხი წყლით.

ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი", — განაცხადა პატრიარქმა.

„უფულობის პანდემია" აფხაზეთში

④

ნადიკვრის პოლიტიკური ვაებანი

⑥

5 უჩვეულო გაქცევა საბჭოთა კავშირიდან

⑨

ზესაიდუმლო იარაღის გამომგონებელი

⑦

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 ივლისს

შაქარაშვილის საქმეზე ეთერში ყალბი სიუჟეტი გავიდა

„მთავარ არხზე“ გიორგი გვარამიას „ჯოჯოხეთი“ სრული გზით მიქანება ნამდვილი ჯოჯოხეთისკენ!

შსს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინფორმაციით, „მთავარ არხზე“ გუშინ და გუშინწინ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ყალბი სიუჟეტები გავიდა ეთერში.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ტელეკომპანია „მთავარში“ გუშინ გასულ მორიგ ყალბ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეს ეხებოდა.

ტყუილი ნომერი პირველი – სიუჟეტში საუბარია, რომ თითქოს მცხეთაში აგარაკზე პოლიცია გამოიძახეს და სამართალდამცველებმა რეაგირება არ მოახდინეს.

სიმართლე – აგარაკიდან მსგავსი გამოძახება არ მომხდარა!

ტყუილი ნომერი ორი – პოლიციამ მორაგბეების ვინაობა შეგნებულად დამალა, როდესაც ისინი გამოკითხვაზე დაიბარეს და ცხელ კვალზე განზრახ არავინ არ დააკავა;

სიმართლე – პოლიციამ, რა წუთიდანაც მიიღო შეტყობინება გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ, სამაშველო სამსახურთან ერთად, დაუყონებლივ დაიწყო საძიებო სამუშაოები. საგამოძიებო მოქმედებების დროს, ოპერატიულად მოხდა 50-ზე მეტი პირის გამოკითხვა და ამ პროცესში, პოლიცია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არასდროს ასაჯაროებს გამოკითხულ პირთა ვინაობას.

კერძოდ: მიმდინარე წლის 19 ივნისს, დაახლოებით, 11 საათზე, გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ შეტყობინება შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა;

22 ივნისს მაშველებმა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი წყალში იპოვეს;

მეორე დღეს, 23 ივნისს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 50-მდე მოწმე იყო უკვე გამოკითხული;

26 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე გახსნა და 17 პირი ბრალდებულის სახით დააკავა.

ტყუილი ნომერი სამი – გარდაცვლილს აქვს მრავლობითი მოტეხილობა, ჩამტვრეული აქვს თავის ქალა და რომ გარდაცვალების მიზეზის დადგენას არ სჭირდება ხანგრძლივი საექსპერტო კვლევა.

სიმართლე – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების და სავარაუდო დამნაშავეთა ბრალის ხარისხის დასადგენად. ცნობისთვის, საქმეზე მოწვეულია, აგრეთვე, დამოუკიდებელი ექსპერტი. იმავდროულად, პროფესიულ წრეებში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სრულფასოვანი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას გარკვეული პერიოდი (დაახლოებით, ორი კვირა) სჭირდება.

„ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გვამს აღენიშნებოდა ჩონჩხის ძვლების მოტეხილობა, ქალა-სარქველი ანუ თავი ჰქონდა ჩამტვრეული, ყური ჰქონდა მოცილებული – ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ არანაირი ჩონჩხის ძვლების, ქალა-სარქველის მოტეხილობა, ყურის მოცილება სხეულისგან, გვამის გამოკვლევისას არ აღენიშნებოდა. სახის არეში ჰქონდა დაზიანებები, სისხლნაჟღენთების სახით, ასევე სხვა ადგილებზეც. ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, რა იყო სიკვდილის მიზეზი, ცოცხალი მოხვდა წყალში თუ არა, დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია თუ მის შემდგომ, იმ დაზიანებებს შეეძლო თუ არა სიკვდილის გამოწვევა ან ხელის შეწყობა“, – განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ.

ტყუილი ნომერი ოთხი – რამდენიმე წლის წინ, პოლიციამ ბერა ივანიშვილის ე.წ. მეგობარი, ავთანდილ ბილანიშვილი გარკვეული დანაშაულისთვის დააკავა, მაგრამ გავლენიანი მფარველის ჩარევით, პასუხისმგებლობას განარიდა.

სიმართლე – 2014 წელს ავთანდილ ბილანიშვილმა ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რის გამოც იგი სასამართლომ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დააჯარიმა და ამ ინციდენტის დროს, მართლმსაჯულების განხორციელებაში უკანონო ჩარევას არავის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

მოყვანილი ფაქტები ნათლად ცხადჰყოფენ, რომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ზემოხსენებული სიუჟეტი სრულად არის გაჯერებული ცრუ ინფორმაციით, მომზადებულია საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით და ემსახურება კონკრეტულ პირთა დისკრედიტაციის პოლიტიკურ ამოცანას“, – აღნიშნულია შსს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინფორმაციაში.

ბერა ბევრად უფრო მეტი ტყუილისა და ცილისწამების მსხვერპლია, ვიდრე მისი მეგობრების თუ თანატოლების უმეტესობა

„რეპერები შენთან რა შუაში არიანო, ოჯახი რატომ შექმენიო, გადამწვარ ამაზონის ტყეს რატომ დაეხმარე, რაში გაინტერესებსო, ფეისბუქზე რატომ წერო, ბოლოს – „ტიკ-ტოკი“ რატომ გაქვსო.

რაც „ქართული ოცნება“ შეიქმნა, მას მერე სულ უჩიჩხინებენ. არადა, არ უნდა ამ ადამიანს პოლიტიკასთან გაკარება, არის ამ ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქე და თავის სიხარულს, ინტერესებს, გულისტკივილს, ცხოვრების საინტერესო მომენტებს გამოხატავს ისე, როგორც უნდა, როგორც ნებისმიერი თქვენგანი.

უბრალოდ, ბევრად უფრო მეტი ტყუილისა და ცილისწამების მსხვერპლია, ვიდრე მისი მეგობრების თუ თანატოლების უმეტესობა. ისე, ტყუილს ლოგიკა რად უნდა, მთავარია ვირუსივით გაავრცელო, მიახველო სახეში ეთერიდან მოსახლეობას და „ხელებიც დამიბანია“.

ბერაზე მინდოდა დამეწერა და ეს სტატუსი ისევ „ფეიკმოღვაწეობაზეა“, ეს სტატუსი ისევ „მთავარ“ მატყუარაზეა... საშინელი ტრაგედიაც კი გამოიყენეს საკუთარი მიზნისთვის.

ამორალურია ეს ყველაფერი!

დეზინფორმაციაზე აღარ გავჩუმდეთ – დუმილი ასაზრდოებს ბოროტებას!“, – წერს კალაძე და „მთავარი არხის“ ეთერში გასულ სიუჟეტს გამოეხმაურა, რომელშიც ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმესთან ბერა ივანიშვილის მეგობრის კავშირზეა საუბარი.

სათუნა ხოფერია: მშობლის წინააღმდეგ, შვილებს იყენებენ... მეტის ატანა აღარ შემიძლია

პარლამენტის ყოფილი წევრი ხათუნა ხოფერია „მთავარი არხის“ ეთერში გასულ სიუჟეტს გამოეხმაურა, რომელშიც ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმესთან ბერა ივანიშვილის მეგობრის კავშირზე იყო საუბარი.

„ჩემი მეგობრების საყურადღებოდ! ის, რაც მოხდა ბერასთან მიმართებაში, პირველ რიგში, ჩვენ და ჩვენს შვილებს ეხება! კარგია, როდესაც პარლამენტარები, მოქმედი პოლიტიკოსები და აღმასრულებელი ხელისუფლება აკეთებს რეაგირებას მათი პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ გაშლილ ცილისმწამებლურ კამპანიაზე, მაგრამ უმთავრესი მაინც საზოგადოების, ხალხის და პირველ რიგში, ჩვენი თაობის პოზიცია და რეაქციაა! ის, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლამ ზღვარსგადასული შეურაცხყოფის და შურისძიების სახე მიიღო, არახალია! მაგრამ შვილი?“

უბინძურესი ბრალდება წაუყენო შვილს იმისთვის, რომ მამას ავნო? ოოო, როგორი ძველი, ჩვეული, ნაცნობი ნაციონალური – სისხლიანი რეჟიმის სტილია!

არ იშლიან! გასდიოდათ და გასდით! და სჯერათ, რომ გაუვათ! დღეს ბერა... ხვალ ჩემი რეზო ან ბექა... ზეგ თქვენი შვილი ან შვილიშვილი – ზუსტად ისე, როგორც იყო 2007-ში, 8-ში, 9-ში, 10-ში. 11-ში... ზნედაცემულთა სასიკვდილო როკვაა საქართველოში... აგონიური ბრძოლა სიცოცხლესთან, სისუფთავესთან, ახალგაზრდობასთან, მომავალთან... ჰო და, ეს უნდა დამთავრდეს! დღეს ჩემ შვილს დააბრალეს მაგარი ბიჭის მკვლელობაში თანამონაწილეობა... რა მნიშვნელობა აქვს, ბერა ჰქვია, ბექა, რეზო თუ გიორგი...

ფაქტია, რომ მშობლის ანუ ჩვენს წინააღმდეგ შვილებს იყენებენ... **თქვენი არ ვიცი, მე კი მეტის ატანა აღარ შემიძლია...“**

17-ვე ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბრალდებულ 17-ვე პირს სასამართლომ გუშინ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მცხეთის რაიონულ სასამართლოში პროცესი დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რადგან საქმეში ექვსი ბრალდებული არასრულწლოვანია.

მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა, აღკვეთის სახით პატიმრობის გამოყენებაზე, დააკმაყოფილა. ადვოკატების ნაწილმა მათი დაცვის ქვეშ მყოფების აღკვეთის გარეშე დატოვება მოითხოვა, ნაწილმა კი გირაოს შუამდგომლობა დააყენა.

პროკურატურამ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ ჩვიდმეტივე პირს წარუდგინა ბრალდება ორი ან მეტი პირის მიმართ განხორციელებული ჯგუფური ძალადობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და ამავე ძალადობაში მონაწილეობის და ჯგუფურად თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით“.

ბოროტი ოპოზიცია ქვეყნის მტრობაში ჩემპიონია!

მთელი დღის განმავლობაში, შეიძლება ცოტა ემოციური მომენტებიც არსებობდა, თუმცა გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ძირითადად, დიდწილად, მე, არა მხოლოდ მე, ჩვენი გუნდის წარმომადგენლებს, ყველას მწუხარება გვალაპარაკებდა. ადამიანებს გაუკვირდათ ჩემი ემოციური რეპლიკა, კურდღლები რატომ დაგვიძახაო!

დღეს, ამ წუთში კურდღლები აქ არ არიან.

მძიმეა იმის აღიარება, გაცნობიერება, რომ დღეს, როცა ქვეყანაში რეალური კრიზისია, როცა ქვეყანა ებრძვის პანდემიას, როდესაც ეკონომიკური კრიზისია, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს ნამდვილად უჭირთ და ჩვენ ვსაუბრობთ ისევ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის ქვეყნის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, განათლება, ეკონომიკა, არც ერთი შეკითხვა საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით არ ყოფილა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ აქ მოვედით მაშინ, როდესაც წარვადგინეთ მთავრობის გეგმა. ეს ჩვენი მოვალეობაა, პატივს ვცემთ პარლამენტს, ჩვენს ამომრჩევლებს, მოქალაქეებს, მაგრამ არც ერთი შეკითხვა ქვეყნისთვის დღეს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არ ყოფილა. ეს ხომ არ არის მაღალფარდოვანი სიტყვები, ეს ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრებაა, რომლებსაც მატერიალურად უჭირთ, სამუშაო დაკარგეს, ბევრს ოჯახს შემოსავალი დააკლდა, ბევრს სესხები აქვს, ამ თემებზე სასაუბროდ მოვედით და არც ერთი შეკითხვა საანგარიშო პერიოდის პრობლემებთან დაკავშირებით არ ყოფილა. ვფიქრობ, ეს უბრალოდ ტრაგიკულია, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

ამის მაგივრად რა იყო? – ამის მაგივრად იყო გავრილოვი, 20 ივნისი, ხორავას, კერძაიას ტრაგედიების გახსენება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების ნაწილია და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ოპოზიციას, მმართველს, აქვს შესაძლებლობა, ჰქონდეს თავისი სუბიექტური ან ობიექტური შეფასება... თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, საბედნიეროდ. მაგრამ დღეს ჩვენი დღის წესრიგი უნდა ყოფილიყო სხვა და ყველაზე ტრაგიკული ამაში ისაა და ჩემთვის მორალურად მართლა გაუგებარია, როგორ შეიძლება კონკრეტული მოქალაქის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია იყოს პოლიტიკური სპეკულირების საგანი. შეიძლება ეს არ იყოს მთლად კორექტული, მაგრამ პერსონალურად ჩემთვის, დღეს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის პირობებში ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ჩვენი მოქალაქეები ყოველდღიურად ინფიცირდებიან, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვაფრთხილებს, რომ თუ ქვეყანაში, ცალკე აღებულში გახსნა მოხდება ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, არსებობს ეპიდემიის აფეთქების რისკი, რომელსაც პირდაპირ მივყავართ ეკონომიკურ კრიზისამდე, ეს ხომ თითოეულ ადამიანს ეხება და როცა ამ ყველაფრის ფონზე ადამიანები სამწუხაროდ იქცევიან ასე, ეს შეიძლება დეზერტირობის ტოლფასიც იყოს. მე სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. მესმის, რომ რეალური პრობლემებისგან გაქცევა მარტივია, როდესაც შეიძლება სხვა ადამიანების ტრაგედიებით სპეკულირება მოახდინო საპარლამენტო დარბაზში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად... გავიგე, ეს მარტივია. მაგრამ ამის უკან დგას ადამიანების ბედი, ჩვენი პოლიტიკური კულტურა, უბრალოდ ელემენტარული მორალური ფასეულობები, პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ.

ახლა მინდა, ჩემთვის ასევე მნიშვნელოვან საკითხს შევეხო. დღეს ჩვენმა ერთ-ერთმა კოლეგამ წამოგვაძახა, რომ სენატში განიხილება თავდაცვის ავტორიზაციის აქტი, რომ იქ ისეთი მიძე ჩანაწერი იქნება, აგერ ნახავთო; მრჩება შთაბეჭდილება, ჩვენი ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს, ექსკლუზიური უფლება ჰგონია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების ენის თარგმნა და შემდგომ ამით სპეკულირება ქართველ საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, 8 მარტის შეთანხმების შესრულება, ჩვენი ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია და ხელისუფლება ამ შეთანხმებას შეასრულებს. რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტი ორშაბათს (დღეს, 29 ივნისს. რედ.) კენჭს უყრის და ქვეყანაში იქნება ის საარჩევნო სისტემა, რომელსაც მივყავართ პროპორციული საარჩევნო სისტემის მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს გზა ამ გადაწყვეტილებამდე, იყო საკმაოდ რთული. რა თქმა უნდა, 30 წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკის ოცნება იყო პროპორციული სისტემა და ვერავინ ამ ოცნებას ვერ მიაღწია. რაც არ უნდა ილაპარაკონ, როგორი შეფასებებიც არ უნდა მოხდეს, ამ პარლამენტის კენჭისყრის შედეგად ქვეყანაში საარჩევნო სისტემა შეიცვლება და ეს ჩვენი მოვალეობაა, ისევე, როგორც ჩვენი მოვალეობაა ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც მოდიოდა ODIHR-ისგან და ამ რეკომენდაციების მიღება და შემდგომი იმპლემენტაციაც მოხდება. რა თქმა უნდა, ხელისუფლების და მთავრობის პასუხისმგებლობაა, რომ ქვეყანაში ჩატარდეს დემოკრატიული, გამჭვირვალე და უმაღლესი სტანდარტის არჩევნები და ჩვენ ეს ძალიან კარგად გვესმის. ჩვენ ამ ვალდებულებებს ვიღებთ. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, რომ ქვეყანაში გაგრძელდეს ყველა ის რეფორმა, რომელიც დაწყებულია იმისთვის, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომი პროცესი არ შეჩერდეს და ყველაფერ ამაზეც, მათ შორის, ამ ავტორიზაციის აქტში საუბარია და რა თქმა უნდა, იქაც ყველაზე დიდი ნაწილი პოზიტიურად არის შეფასებული მაგრამ, არა, დეზინფორმაციის, იგივე ფეიკ ნიუსების, მოდელირებული რეალობის მეშვეობით, ადამიანებმა საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური დავის და პოლიტიკური მსჯელობის საგნად გახადეს კონკრეტული სამართლებრივი საქმის კონკრეტული პერსონაჟის, ამ შემთხვევაში ბატონი რურუას საკითხი, მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოებისთვის, საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, საკითხის მსგავს ტონალობაში დაყენება ტრაგიკულია. ჩვენს საზოგადოებას ხომ მეხსიერება აქვს, ჩვენს საზოგადოებას ხომ ახსოვს, რა ხდებოდა 90-იანებში, ჩვენს ზოგიერთ რეგიონს ახსოვს, საერთოდ რა ხდებოდა. ჩვენ ხომ მძიმე 90-იანები გვაქვს გამოვლილი და როდესაც თითოეული ჩვენგანი, ჩვენი რიგითი მოქალაქეები ხედავენ, რომ პოლიტიკური მსჯელობის საგანი ხდება სტრატეგიულ პარტნიორებთან კონკრეტული ადამიანის სისხლის სამართლის საქმე, ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქე თავს გრძნობს შეურაცხყოფილად. რა თქმა უნდა, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს ფეიკ ნიუსები, ეს მოდელირებული რეალობა, ხელოვნურად შექმნილი ისტორიები, ქმნიან საფუძველს იმისთვის, რომ პოლიტიკური მსჯელობის საგანიც კი ხდებოდეს ის, რაც საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის არის წარმოუდგენელი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ ყველაფერში მთავარი არის ის, რომ ბატონები საკუთარი ეგოს და ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინით, არაფრად დაგიდევენ იმას, რომ საქართველოს, ჩვენს სამშობლოს და სტრატეგიულ პარტნიორს შორის ურთიერთობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ, მიაყენონ მას ზიანი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ საკუთარი ეგოისტური ინტერესები დაიკმაყოფილონ. ეს არის ბოროტება და ზოგიერთს ტაშს დავუკრავდი ახლა აქ რომ ბრძანდებოდნენ და ვეტყოდი, ბატონებო, თქვენ ხართ ჩემპიონები ქვეყნის მტრობაში და ქვეყნისთვის ბოროტების ჩადენაში.

სამწუხაროდ, ჩვენ უნდა ვიყოთ კიდევ უფრო პროაქტიურები. ჩვენ, ჩვენი სიმართლე, ობიექტური რეალობა უფრო ეფექტურად უნდა მივიტანოთ ხალხამდე და ჩვენ ამას გავაკეთებთ. ჩვენ ყველას ობიექტურად დავანახებთ, რას ნიშნავს ქვეყნისთვის 8 მარტის შეთანხმება, როგორ შევასრულებთ ჩვენ ამ შეთანხმებას, როგორ ჩავატარებთ ქვეყანაში დემოკრატიულ, გამჭვირვალე და მაღალი სტანდარტის არჩევნებს. მაგრამ, ყველაზე მეტი იმედი მაქვს საქართველოს მოქალაქის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შემდგომი მოწვევის პარლამენტში, აღარ ვსაუბრობ უკვე ხარისხზე, საქართველოს პარლამენტში, ქვეყნის მტრები აღარ უნდა იყვნენ. მე იმედი მაქვს ჩვენი მოქალაქეების!, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთადერთი მოკავშირე, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე გამჭრიახი, ქართველი კაცი – არის ბრძენი, დიდხანს აკვირდება, მაგრამ შესაბამის, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს...

26 ივნისი, 2020 წ.

თეა წულუკიანი: ამ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა, რომ ქართველ ადამიანს ამ სიტყვებით გაელანძღა უცხოელი

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაცემა „შაბათის ქრონიკაში“ ოპოზიციის მხრიდან საქართველოში გერმანიის ელჩის ჰუბერტ ქნირშის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა.

„ამ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა, რომ ქართველ ადამიანს ამ სიტყვებით გაელანძღა უცხოელი. ეს ქვეყნისთვის საზიანოა. გერმანია, ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, საერთაშორისო ასპარეზზე არ იშურებს ძალისხმევას, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე იდგეს და ჩვენ მძიმე წლები მათთან ერთად და მათი ხელშეწყობით გამოგვივლია.

ეს არის სერიოზული უზრდელობის მაგალითი. სახელმწიფოს აყენებენ შეურაცხყოფას, ბოკერია, ნათელაშვილი და ეს ლიდერები „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოსი“ რომელთაც ნათელაშვილის ეზოში აქვთ შტაბი“, – განაცხადა თეა წულუკიანმა. სალომე სამადაშვილის თქმით, გერმანიის ელჩმა რამდენჯერმე, გარკვეულწილად დიპლომატიური შეცდომა დაუშვა. გუშინ გერმანიის ელჩმა თქვა, რომ 8 მარტის შეთანხმების საგანი გიორგი რურუას გათავისუფლება არ ყოფილა, რასაც ოპოზიციის წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკული განცხადებები მოჰყვა.

ხალხს ნაცების ბინძური ხმები არ სჭირდება!

დღეს საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენაა. პარლამენტმა ცვლილებებს კენჭი მესამედ უნდა უყაროს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობას არც ამჯერად არ მიიღებს და მათი მთავარი მოთხოვნა ისევ გიორგი რურუას გათავისუფლებაა. იგივეა „ევროპული საქართველოს“ პოზიცია, თუმცა პარტიას ახალი განცხადება ჯერჯერობით არ გაუკეთებია. მმართველი გუნდი კი დარწმუნებულია, რომ ცვლილებებს დაამტკიცებს და ამისთვის საჭირო ხმები მოგროვდება.

პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის რომან გოცირიძის განცხადებით, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

„არ მივიღებთ მონაწილეობას. საქართველო არ არის ივანიშვილის საფეოდალო. ქვეყანაში უნდა დასრულდეს პოლიტიკური დევნა. უნდა გაათავისუფლონ გიორგი რურუა,“ – აღნიშნავს რომან გოცირიძე.

„ქართულ ოცნებაში“ კი აცხადებენ, რომ ოპოზიციის ნაწილის ბოიკოტის მიუხედავად, საკონსტიტუციო ცვლილებები მაინც განხორციელდება. პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ვოლსკის თქმით, ოპოზიციური მხარე არჩევნებისკენ არ ისწრაფვის.

ცხინვალი – ბევრი – სანახაობა, ცოტა – პური

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 24 ივნისს მეშვიდე სამხედრო აღლუმი ჩატარდა. მანამდე ნაციზმზე გამარჯვების აღსანიშნავი 6 აღლუმი 8-9 მაისს ჩაატარეს. დე ფაქტო ხელისუფლებამ ამას სახელობითი აღლუმები უწოდა და იმ ქუჩებზე გაიმართა, სადაც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ცხოვრობენ.

დღევანდელ აღლუმზე ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და რუსეთიდან ცხინვალში დაბრუნებული სამხედრო სასწავლებლების კურსანტები გამოიყვანეს. დე ფაქტო რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ცხინვალის ცენტრალურ თეატრალურ მოედანზე 35 ერთეული საბრძოლო მძიმე ტექნიკა გამოიყვანეს. მასში მონაწილეობდნენ რუსეთის მეოთხე სამხედრო ბაზისა და რუსეთის ფეესბეს სასაზღვრო ნაწილის ჯარისკაცები. ოკუპირებული რეგიონის ლიდერი ანატოლი ბიბილოვი რუსეთში წავიდა და პუტინსა და რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ ლიდერებთან ერთად სამხედრო აღლუმს მოსკოვში, წითელ მოედანზე, დაესწრო, ცხინვალში გამართულ აღლუმს კი რუსეთიდან ჩამოყვანილი გენერალი, დე ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვიქტორ ფეოდოროვი ხელმძღვანელობდა.

ამასობაში ცხინვალში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. კოვიდ 19-ით ძირითადად რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტები და სამხედრო მოსამსახურეები ავადდებიან, სტუდენტები კი აღლუმში მონაწილეობდნენ. ამან კიდევ უფრო შეაშფოთა ადგილობრივი საზოგადოება, რომელმაც ასევე კარგად იცის, რომ ოკუპირებული რეგიონის ჯანდაცვის სისტემა მძიმე მდგომარეობაშია და ახლა ეს აღლუმები საზეიმო განწყობების ნაცვლად შიშს უფრო თესავს.

ეპიდემიის გავრცელების შიშით ბევრი ცხინვალელი დღეს ქუჩაშიც არ გასულა. ამის შესახებ „რადიო თავისუფლებას“ ცხინვალელმა წყარომ აცნობა.

„ვითომ შეზღუდვები აქვთ დაწესებული და ამდენი ხალხი პარადზე გამოიყვანეს. ყოველდღე ვისმენთ, რომ კორონავირუსის ახალი შემთხვევები ფიქსირდება და ესენი მასობრივ ღონისძიებებს ატარებენ. იმ პარადზე ერთი უსიმპტომო კურსანტი რომ ყოფილიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება ორ კვირაში და მერე ვინ აიღებს პასუხისმგებლობას? ამ მთავრობას ხალხი არ ადარდებს, არა. ცხინვალში ერთი პატარა საავადმყოფოა და ის ვერ გაუძლებს დატვირთვას. პატრონიანებს, ალბათ, რუსეთში გადაიყვანენ და აქ ისევ უბრალო ხალხი დაზარალდება“, – ამბობს „რადიო თავისუფლების“ წყარო და განმარტავს, რომ ქალაქი უკვე შიმშილის პირასაა.

„აქ მხოლოდ სანახაობაა, პური აღარ არის. რუსეთთან საზღვრის გახსნა 31 ივლისამდე გადადეს, მაგრამ ვინც ბიბილოვთან ახლოსაა,მათთვის გახსნილია საზღვარი და თავისუფლად მოძრაობენ. სოციალურ ქსელში უკვე დიდი პროტესტია. მცირე მეწარმეებს პროდუქტები ვერ შემოაქვთ, მსხვილ გადამზიდავებს კი ოთხჯერ გაძვირებული პროდუქცია შემოაქვთ. წარმოიდგინეთ, კიტრი 100 რუბლი ღირს (4,5 ლარი) პომიდვრის ფასი 150 რუბლიდან (6,5 ლარი) იწყება. როგორ უნდა ვიარსებოთ? ყველა პროდუქტი 4-ჯერაა გაძვირებული. ხალხი გზის გახსნას ითხოვს, ეს გზა კი მხოლოდ მონოპოლისტებისთვისაა გახსნილი“.

კონფლიქტოლოგ ზურაბ ბენდიანიშვილის აზრით, ცხინვალის ხელისუფლება საკუთარ ხალხს რუსული პოლიტიკის მძევლად აქცევს და მისთვის უფრო მნიშვნელოვანია პუტინს ასიამოვნოს, ვიდრე მოსახლეობა იყოს დაცული:

„ბიბილოვის ქმედება პირდაპირ უკავშირდება რუსეთის მაამებლობას და ამ მაამებლობით უნდა, რომ თავისი ხალხი სიტუაციის მძევლად აქციოს, რაც მიუღებელია. ცხინვალში არ არის ეპიდსიტუაციის უსაფრთხოება იმ დონემდე, რომ მოსახლეობა დაცული იყოს ვირუსის გავრცელებისაგან. მით უმეტეს, შემთხვევები მრავლდება და გაიხსნა ასევე საზღვარი რუსეთთან, საიდანაც ძირითადად დაინფიცირებული ადამიანების შემოდინება ხდება და ეს ცხინვალს ეპიდაფეთქების წინაშე აყენებს, რისიც თვითონ მოსახლეობას ეშინია და წინააღმდეგია ამ აღლუმის. მოსახლეობა ამ შემთხვევაში რუსული პოლიტიკის მძევლად რჩება“.

სოციალურ ქსელში ცხინვალელების პროტესტი იმდენად მასშტაბური გახდა, რომ ბიბილოვის მთავრობამ ბიზნესსაქმიანობაში ჩარევა დაიწყო. დე ფაქტო პროკურატურისა და საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები მაღაზიებში შედიან და ფასების ვითომ დარეგულირებით არიან დაკავებული. გარდა ამისა, იმ სატვირთო მანქანების მძღოლებს, ვისაც პროდუქცია რუსეთიდან ცხინვალში შეაქვს, ინდმეწარმეებად რეგისტრაცია და გადასახადის გადახდა მოსთხოვეს, ამის მიზეზად კი მათ მიერ გაძვირებული გადაზიდვები დაასახელეს. დე ფაქტო გენერალურმა პროკურორმა ურუზმაგ ჯაგაევმა, რომლის თქმითაც, საკარანტინო შეზღუდვების დროს მომუშავე მძღოლებმა გადასახადი ორ-სამჯერ გაზარდეს, კატეგორიულად მოითხოვა ამ მძღოლების საგადასახადო სამსახურში რეგისტრაცია, თუმცა აქ ერთი კურიოზული შემთხვევაა: **ეს მძღოლები საგადასახადოში ინდმეწარმედ რეგისტრაციისთვის ვერ მივლენ, რადგან, მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით, მათ მანქანებიდან გადმოსვლა ეკრძალებათ. საჭმელს მანქანაშივე აწვდიან და ტრაილერების ჩამოტვირთვის შემდეგ ისინი ისევ რუსეთში ბრუნდებიან. გარდა ამისა, ცხინვალელი სამოქალაქო აქტივისტების თქმით, თუ ამ მძღოლებმა დამატებითი გადასახადების გადახდა დაიწყეს, მათ მიერ შეტანილი პროდუქცია კიდევ უფრო გაძვირდება, ამიტომ ისინი გამოსავალს ე.წ. საზღვრის გახსნასა და მცირე საწარმოების ამუშავებაში ხედავენ, რის შემდეგაც ფასს ბაზარი დაარეგულირებს. ბოლო გადაწყვეტილებით, რუსეთთან ე.წ. საზღვარი 31 ივლისამდე არ გაიხსნება. ცხინვალელი სამოქალაქო აქტივისტები ვარაუდობენ, რომ ამ დროის განმავლობაში მედიკამენტებსა და სასურსათო პრუდუქციაზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.**

გოგა აფციაური

„უფულობის პანდემია“ აფხაზეთში: „რა ვქნათ, საქართველოსთან, ევროკავშირთან, ამერიკასთან თანამშრომლობაზე ვიფიქროთ?“

კორონავირუსის პანდემიის ფონზე აფხაზეთში უკიდურესად გამწვავებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი იმაზე დააფიქრა, რითაც წესით, ე.წ. „დამოუკიდებლობის“ მოპოვებისთანავე უნდა შეეწუხებინა თავი, თუმცა „უფასო“ რუსული დახმარების ფონზე სიზარმაცე სძლევდა. ზოგიერთებს კი ამან ხმაც ამოაღებინა და იმაზე საჯაროდ საუბრისას, რა გამოსავალი შეიძლება, მოიძებნოს შექმნილ კოლაფსურ ვითარებაში, საქართველოსა და დასავლეთთან შესაძლო თანამშრომლობაც კი ახსენებინა.

„გვითხარით, რა ვქნათ, მოძებნეთ გამოსავალი, მარტო შექმნილ ვითარებას რომ აღწერთ – მას თქვენს გარეშეც ვხედავთ და ვგრძნობთ! თუ გამოსავალს ვერ პოულობთ, თუ ვერაფერს გვთავაზობთ, რა ვქნათ, საქართველოსთან, ევროკავშირთან, ამერიკასთან თანამშრომლობაზე ვიფიქროთ?“, – ამ ფრაზამ 26 ივნისს სოხუმში სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრში გამართულ შეხვედრაზე გაიჟღერა, რომელზეც ბანკირები და მეწარმეები კორონავირუსული კრიზისის პირობებში აფხაზური საბანკო სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობაზე მსჯელობდნენ.

ვითარების კრიტიკულობის შეფასებაში ყველა თანხმდება, თუმცა როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კრიზისი პანდემიამდეც – წლების განმავლობაში არსებობდა და მას ლოგიკური მიზეზები ჰქონდა, მათ შორის – სრული უმოქმედობა და მხოლოდ რუსული დახმარების იმედად ყოფნა.

ითქვა, რომ ბანკები ბიზნესზე ფაქტობრივად არანაირ მასტიმულირებელ გავლენას არ ახდენენ, აფხაზური „ეროვნული ბანკი“ კი, თავის მხრივ, საკუთარ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ გაატარებს, რადგან „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ საკუთარი ვალუტა არ გააჩნია; მომხმარებლები კრედიტების დაბრუნების აუცილებლობას ვერ გრძნობენ, კომერციულ ბანკებს კი ამის საპასუხოდ ძალზე მაღალი (წლიური 36%) საპროცენტო განაკვეთი აქვთ...

გამოსავლად ბანკირებმა მომსახურების გაფართოება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა დაასახელეს, თუმცა აღნიშნეს, რომ ამას დღემდე არარსებული საკანონმდებლო ბაზა სჭირდება. გარდა ამისა, მათი თქმით, ყველა მიმართულებით პრობლემას ქმნის საკუთარი ვალუტის არარსებობა და ფულადი მასის წარმოების შეუძლებლობა.

„ბანკი უბრალოდ იღებს ნებისმიერ სიტუაციას და არ აქვს მასზე რეაგირების შესაძლებლობა: თუ არსებობს ინფლაცია, იგი ისეთივეა, როგორიც რუსეთში, შესაბამისად – დოლარის კურსიც; ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საუბარიც ზედმეტია, რადგან მისი განხორციელების ინსტრუმენტი არ გაგვაჩნია“. ამ პირობებში ბანკის ძირითადი საქმიანობა ბიუჯეტის მომსახურებასა და კლიენტებთან, კერძოდ კომერციულ ბანკებთან მუშაობაზეა მიმართული... – განაცხადა შეხვედრაზე აფხაზური „ეროვნული ბანკის“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ **ბესლან ბარათელიამ.**

იხ. 7 გვ.

ჟურნალისტური გამოძიება

გოქსელ გენჩი თურქი „ოსტაპ ბენდერი“(3)?

წინა წერილში (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.06. 2020 წ., №72) მკითხველს ვაცნობე, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გავუგზავნე სამი კითხვა. ადმინისტრაციული წესის თანახმად, დასმულ კითხვებზე ათ დღეში უნდა მიმეღო პასუხი. გავიდა ორი კვირა, მგფ- მა პასუხი „არ“ ან „ვერ“ მაღირსა. მაგრამ, ადამიანი იმედით ცხოვრობსო და, ვიმედოვნებ, რომ მგფ-ი ყურადღების ღირსად ჩამთვლის. ასევე, წინა წერილში გამოვაქვეყნე ერთი ძალზე საყურადღებო საბუთი, რომელიც მოვიძიე ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალებში, ამგვარად დასათაურებული: „Акт выполненных работ по строительству дороги между г. Сургут и г. Нижневартовск“ და დათარიღებული 2006 წლის 27 ივლისით. მე დამაჯერებლად ვთქვი, რომ ეს საბუთი ყალბია. წინა წერილში მოვიყვანე სიყალბის დამადასტურებელი ლოგიკური არგუმენტები, მაგრამ მთავარი არგუმენტი შემოვინახე წინამდებარე წერილისთვის. თავისებური სპორტული მიზანიც მამოძრავებდა: აბა, მკითხველი თავად თუ ამოიცნობს საბუთის სიყალბის მთავარ მანიშნებელს, ის ხომ ზედაპირზეა!



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882011501849 - 13/10/2011 16:04:04 — მომზადების თარიღი 20/10/2011 10:09

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	ისანი			
01	17	14	001/004	01/007

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 760.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 1;
მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილი, 57ა, კორპუსი 4

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882008275056, თარიღი 16/09/2008 16:08:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/09/2008

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-3750, დამოწმების თარიღი:16/09/2008, ნოტარიუსი თ. ვაშაკიძე

მესაკუთრეები:
უმარ იდიგოვი, P/N: 01095000091

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
უმარ იდიგოვი	საკუთრება	ფართი	ბინა N7,	40.82 კვ.მ.	

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011501849 თარიღი 13/10/2011 16:04:04 — იპოთეკარი: გარიელი ღარიბაძე P/N: 12001055983; ლია ბოლდაველი P/N: 01011057076; გიორგი ღარიბაძე P/N: 12001087320; მესაკუთრე: უმარ იდიგოვი P/N: 01095000091; საგანი: ბინა N7, ფართი 40.82 კვ.მ;

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N111120393, დამოწმების თარიღი 13/10/2011, ნოტარიუსი ქ.ბოჭორიშვილი

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/10/2011

საგადასახადო გირავნობა:
რეგისტრირებული არ არის



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19101634, 25/09/2019 11:40:10

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	გენჩ ინშაათ-ის საქართველოს ფილიალი
სამართლებრივი ფორმა:	უცხოური საწარმოს ფილიალი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406025340
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	16/02/2010
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ჩოლოყაშვილის ქ., N 57ა, კორპუსი 4, ბინა 7

დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: gencgeo@gmail.com

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ
რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
- დირექტორი - გოქსელ გენჩ, თურქეთი, 22270319736, U 01186799, 65411000073 /საქართველო/

დამფუძნებლები
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გენჩ ინშაათ, 32048, 32047 /თურქეთი/, ქ.ანკარა, ჩანქაია რ-ნი, ილდიზია ეპანი, სახლი 286, ქ. N22, 08.03.1976

კარგი მკითხველი გვყოლია. დამიკავშირდა ოთხი ადამიანი. ყველაზე უფროსი 84 წლის გახლავთ, ყველაზე უმცროსი – 19 წლის გოგო, მომავალი იურისტი, რამაც განსაკუთრებულად გამახარა – არ ვყოფილვართ წყალწაღებულნი, თუ ასეთი ახალგაზრდებიც გვყვანან! ზემოთ ხსენებული აქტის მიხედვით, ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროსთან არსებულ „СтройФинанс Груп“-ს და გოქსელ გენჩის „Генчстрой“-ს შორის დაიდო 2004 წლის 13 თებერვალს, ანუ მაშინ, როცა „გენჩსტროი“ ბუნებაში არ არსებობდა, რადგან ეს უკანასკნელი დაფუძნდა „დადებული ხელშეკრულებიდან“ ერთი წლის და ოცი დღის შემდეგ, კონკრეტულად, 2005 წლის 5 მარტს“. გინდა, არ გინდა, გიჩნდება კითხვა: თუ ასეთი, ზედაპირზე მდებარე, სიყალბე ვერ გაეპარა 84 წლის მოხუცს და 19 წლის გოგოს, როგორღა ვერ შეამჩნიეს ის სატენდერო კომისიის წევრებმა? იქნებ, გამორჩათ? სიამოვნებით დავიჯერებდი, მაგრამ ამ სიყალბეს „მგფ“-ის ბეჭედი ამშვენებს. გაეცნენ, თურმე... ინებონ ახლა „მგფ“-ის 2016 წლის ხელმძღვანელობამ, ასევე, პროკურორმა სალომე ჩიქობავამ და აუხსნან ქართველ საზოგადოებას, თუ როგორ გაეპარათ სიყალბის დამადასტურებელი დეტალი, რომელიც ცხვირწინ ედოთ. ეს დეტალი ხომ „ყვიროდა“: „ყალბია აქტი, ყალბი!“. საყურადღებოა, რამდენს უხდიან იურისტებს „მგფ“-ში? ან, რა რაოდენობის ხელფასს იღებს პროკურორი ჩიქობავა, თუ ასეთმა ელემენტარულმა, მეტიც, პრიმიტიულმა სიყალბემ ვერ მიიპყრო მათი მზერა? ქალ-



ჟურნალისტური გამოძიება
როცა პასუხი იგვიანებს...
გოქსელ გენჩი - თურქი „ოსტაპ ბენდერი“?(2)

მკითხველს გამოვუტყდები, რომ წინა წლებში გოქსელ გენჩის პიროვნების მასშტაბი ვერ შევაფასე სათანადოდ. თურქეთის, ერაყისა და საქართველოს „აღმშენებლმა“ დიდ რუსეთშიც მიიტანა იერიში და 2005 წლის 5 აპრილს თავისი კანტორის — „რქები და ჩლიქების“ ფილიალი აღრიცხა რუსეთში „ГЕНЧСТРОЙ“-ის სახელწოდებით. პროკურორ სალომე ჩიქობავასგან განსხვავებით, მე დავინტერესდი „გენჩსტროის“ მოღვაწეობით.

მგფ
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გიორგი კორძაძე

ბატონი სალომე რანაირად აპირებს ბანკირ ხაზარაძის საკმაოდ რთული ფინანსური (სავარაუდო) მაქინაციების გამოაშკარავებას? საერთოდ, რა ხდება ჩვენს სახელმწიფოში?... დადგა დრო, პროკურორ ჩიქობავას გარდა, სხვა გვარ-სახელებიც გავახმიანო. მაგალითად, გავაცნო მკითხველს ბატონი ჯუანშერ ბურჭულაძე, რომელიც 2016 წელს იყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ამ ორგანიზაციის მაშინდელი ფაქტობრივი მმართველი; შემდგომ კი ოფიციალური მმართველი. ამჟამად საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ბურჭულაძეს უახლოეს მომავალში მე ოფიციალურად გავუგზავნი კითხვებს, მაგრამ ახლა უნდა მკითხველს გავაცნო ჩემი მხრიდან არაერთხელ ხსენებული სისხლის სამართლის საქმეზე ბატონ ბურჭულაძის მიერ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენების ნაწყვეტი. ჯუანშერ ბურჭულაძე: „2016 წლის 30 დეკემბერს მუნიციპალური განვითარების ფონდში გამოცხადდა კომპანია „გენჩ ინშაათის“ დამფუძნებელი გოქსელ გენჩი, რომელმაც მოითხოვა ჩემთან შეხვედრა, და რომელსაც თან ახლდა სამი პირი. ერთ-ერთი გამეცნო ივას სახელით. გენჩმა მკითხა, თუ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული ტენდერთან დაკავშირებით, რაზეც მე ვუპასუხე, რომ ტენდერის შედეგები არაერთხელ წერილობით ეცნობათ და ასევე აიტვირთა მგფ-ის ვებ-გვერდზე. ამის საპასუხოდ ბატონმა გენჩმა მიუთითა, თითქოს ჩვენგან გაგზავნილ გამარჯვების შეტყობინების წერილზე და წარმოგვიდგინა ტელეფონით ამ წერილზე გადაღებული ფოტო. ტექსტის შინაარსი იყო მსგავსი იმისა, რაც ფონდმა კომპანია „სეზას“ გამარჯვების თაობაზე ატვირთა საკუთარ ვებ-გვერდზე. უბრალოდ, ამ წერილზე წერილის ადრესატი იყო შეცვლილი და კომპანია „ეზას“ ნაცვლად, გამარჯვების წერილის სათაურში მითითებული იყო „გენჩ ინშაათი“. ამის საპასუხოდ გენჩს განვუცხადე, რომ მის მიერ ტელეფონში შენახული წერილი არ წარმოადგენს ორიგინალს და სავარაუდოდ იგი გაყალბებულია. გენჩმა აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ, ხელშეკრულების თანახმად, მან ირაკლი კერესელიძეს გადაუხადა გარკვეული თანხა.

ვალდებულად მივიჩნიე თავი, წერილობით შეგვეტყობინებინა პროკურატურისთვის და მიგვეწოდებინა ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია, ვინაიდან ცნობილი გახდა ინფორმაცია შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით“.

ჩვენების მარტო ამ ნაწყვეტშიც რამდენიმე საყურადღებო ეპიზოდია, რომელთა ახსნა, ადრე თუ გვიან, ბატონ ბურჭულაძეს მაინც მოუწევს. მაგალითად, რატომ არ მოახსენა მან პროკურატურას, რომ იმ ოთხი სტუმრიდან ერთი იყო მისი, ბურჭულაძის, მეუღლის დეიდაშვილი – ვინმე ჯაბა ლომიძე, რომლის მეგობრები იყვნენ ივანე (ივა) კვაჭანტირაძე და მურთაზ კაპანაძე; სწორედ, რომ ამ ბატონებმა სთხოვეს ჯაბა ლომიძეს, რომ მას მოეწყო შეხვედრა მისი სიძისა და მათი თურქი მეგობრის – გოქსელ გენჩისა. 2016 წლის 30 დეკემბერს ეს შეხვედრა შედგა.

ბატონმა ბურჭულაძემ ხომ იცოდა, ბოლოს და ბოლოს, ვალდებული იყო სცოდნოდა, რა მიზეზით იყო გოქსელ გენჩის ე.წ. სამშენებლო კომპანია დისკვალიფიცირებული – გენჩის კომპანიამ თავის გარანტორად დაასახელა იმ ქვეყნის ბანკი, კონკრეტულად, ერაყის, რომელიც არ არის აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყანა. მეტიც, გოქსელ გენჩმა წარუდგინა სატენდერო კომისიას ერაყული ბანკის – „ჩექინ ზუ“-ს საგარანტიო წერილი, რომელიც იყო ყალბი, რადგან ასეთი ერაყული ბანკი არ არსებობს! კიდევ, ბატონმა გენჩმა თავის დოკუმენტაციას დაურთო მეორე ყალბი დოკუმენტი – უკვე ხსენებული „აქტი“; და თუ მან, ბატონმა ბურჭულაძემ, 2016 წლის 30 დეკემბერს, მხოლოდ გენჩის მონაყოლის და მის ტელეფონში „ჩატვირთული“ წერილის საფუძველზე, თავი ვალდებულად მიიჩნია, პროკურატურისთვის, „„შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით“, წერილობითი შეტყობინების გაგზავნა, რატომ არ დაავალდებულა საკუთარ პერსონას ასეთივე შეტყობინებით მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, ან იმავე პროკურატურისთვის რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ, როცა აშკარა გახდა, რომ ტენდერში მონაწილე თურქული კომპანია „გენჩ ინშაათის“ მეთაურმა სატენდერო კომისიას ორი ყალბი საბუთი შეაპარა? კანონი ავალდებულებდა ბატონ ბურჭულაძეს, გადაედგა ეს ნაბიჯი. რატომ არ გადადგა? შემთხვევით, „სტუმარ-მასპინძელი“ ხომ არ გაახსენდა? ან, რატომ არ გაიფიქრა ბატონმა ბურჭულაძემ: **იქნებ, გოქსელ გენჩის ტელეფონში ჩატვირთული წერილი, თავად გოქსელ გენჩის მიერაა დამზადებული. ის ხომ ყალბი წერილების შექმნის ოსტატია... სხვათა შორის, ხსენებული ირაკლი კერესელიძის განაჩენში წერია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა აჩვენებს, რომ ირაკლი კერესელიძეს ყალბი დოკუმენტი არ დაუმზადებიაო... ძალზე დამაფიქრებელია, ირაკლი კერესელიძეზე საჩივარი პროკურატურაში ბატონებმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და გოქსელ გენჩმა თითქმის ერთდროულად შეიტანეს. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? მისი უდიდებულესობა ლოგიკა მკარნახობს – ბატონები ბურჭულაძე და გენჩი ვიღაცის დაკვეთას ასრულებდნენ... მართლაც, უცნაური კავშირია ადგილობრივი სახელმწიფო მოხელისა და უცხოელი, უზარმაზარი ალბათობით, თაღლითისა. იმდენად უცნაურია, არარსებულმა ერაყულმა ბანკმაც – „ჩექინ ზუ“-მაც ვერ აიძულა ბატონი ჯუანშერ ბურჭულაძე გოქსელ გენჩი მისი საეჭვო სამშენებლო კომპანიით, ე.წ. შავ სიაში, შეეყვანა. შედეგი – 2018 წელს ბატონ გენჩის „რქებმა და ჩლიქებმა“, ბოდიში, „გენჩ ინშაათმა“ მიიღო მონაწილეობა სხვა ტენდერში, რომელიც მოიგო ქართულმა ფირმამ – „სერპანტინმა“... კარგით, ამასაც გადავიტან, მაგრამ დღეს ბატონი ჯუანშერი, უცხოტომელის საეჭვო საქმიანობაზე თვალისდამხუჭველი, ლმობიერი ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილეა; და თუ უცხოელების მიმართ ასეთი გულჩვილი ადამიანი ასეთი სერიოზული სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელია, მაშინ მე, როგორც მოქალაქე, თავს დაუცველად ვგრძნობ.**

„ჩვენი“ ბატონი გოქსელი რომ ცრუპენტელაა ჩანს ამ ფაქტიდანაც: **გამოკითხვის ოქმში ის აცხადებს, რომ მეათე წელია, საქართველოში ფეხი ვერ მოვიკიდე და საქართველოში ჩემს კომპანიას არ აქვს ფილიალიო. თუმცა, მის ვებგვერდზე მითითებულია საქართველოში ფირმის ფილიალის მისამართი: პავლე ასლანიდის 34. აი, საჯარო რეესტრში მისი ფირმის ქართული ფილიალის მისამართი კი სულ სხვაა: ჩოლოყაშვილის 57 ა, კორპ. 4, ბინა 7. აქაც მიჩნდება კითხვა პროკურორ ჩიქობავასადმი. რატომ დაუჯერა მან, თანაც ბრმად, გოქსელ გენჩს, როდესაც ის, გამოკითხვისას, პირდაპირ ამბობს: მე არ მაქვს საქართველოში ფილიალიო? მაგრამ თურმე ჰქონია, თანაც 2010 წლიდან. ასეთი მარტივი ფაქტიც გამორჩა ქალბატონ სალომეს? საერთოდ, წაკითხული თუ ჰქონდა მას ირაკლი კერესელიძის სისხლის სამართლის საქმე? თუ ვიღაცის მითითებებს ასრულებდა, თუ კორუფციულ გარიგებაში იყო გოქსელ გენჩთან, ან მის ქართველ მფარველებთან? მისამართებთან დაკავშირებითაც საყურადღებო დეტალია. ჩოლოყაშვილის ქუჩის მისამართზე არსებული ბინა, ეკუთვნოდა უმარ იდიგოვს, ცნობილ ჩეჩენ საზოგადო მოღვაწეს. ბინის გაქირავების უფლება აქვს ყველას, მათ შორის საზოგადო მოღვაწეებსაც და ამაში არაფერია კრიმინალური,. აქირავებს ადამიანი ბინას და ღმერთმა ხელი მოუმართოს. მაგრამ, უმარ იდიგოვის გვარი და სახელი ამოტივტივდა, როცა თბილისში ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროს მოკლეს ცნობილი ტერორისტი აჰმედ ჩატაევი. აჰმედ ჩატაევი კი, უმარ იდიგოვის ნათქვამიდან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ყოფილა. ანტიტერორისტული ოპერაციის დასრულების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში ბატონი უმარი აცხადებს: თუ ჩატაევი ჩამოვიდოდა საქართველოში, ის აუცილებლად მე დამიკავშირდებოდაო. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი მართლაც და მეგობრები იყვნენ. ძებნილი ტერორისტი ხომ მარტო თავის უახლოეს მეგობარს დაუკავშირდებოდა. აი, ახლა ქალბატონმა ჩიქობავამ დაადასტუროს, რომ მის მიერ სასამართლო პროცესზე შერაცხილი, როგორც „ნახევარ თურქეთის აღმშენებელი“ – გოქსელ გენჩი პირდაპირ ან ირიბად არ არის დაკავშირებული ტერორისტებთან... მოხდა გაუგონარი რამ! ჩემი ორი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, გოქსელ გენჩი დაუკავშირდა გზავნილით ირაკლი კერესელიძის მეუღლეს, ჟურნალისტ ქეთევან ხომერიკს: თქვენ გყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი და შეწყვიტეთ ჩემზე წერილების წერაო... არა, ქალბატონი ჩიქობავას იმედი მე აღარ მაქვს, იმედი მაქვს ჩვენი „სუს“-ისა, რომ დაინტერესდეს: გოქსელ გენჩი, რატომ ემუქრება ორი მცირეწლოვანი შვილის დედას ? ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება.**

გიორგი კორძაძე

ნადიკვრის პოლიტიკური ვაებანი

ამ დღეებში თელავში ხმა გავარდა – ნადიკვრის (ქალაქის ერთადერთი კულტურისა და დასვენების პარკი) რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდაო. გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ ამბავმა დიდი თუ პატარა ააღელვა. ამის მიზეზი 2012 წლის მოვლენებში უნდა ვეძიოთ. მაშინ ქალაქთან ერთად პარკის რეაბილიტაციაც ჩატარდა. რვა წლის შემდეგ ნათლად იკვეთება მიხტომით გაკეთებული საქმის სავალალო შედეგები.

ჯერ ცოტა რამ თავად ნადიკვარზე. ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე, როგორც თავად სახელი მიგვანიშნებს, ერთ დროს ძველი ქართული ჯიშის ხორბალი – დიკა ითესებოდა. გამოხდა ხანი (საუკუნეები) და ბორცვი თელაველთა სეირნობის ადგილად იქცა. და რაკი ქართველები, ბევრ რამეში,თუნდაც საკუთარი ეზო-ყურის შეფასებაში, უცხოელებს უფრო ვენდობით, ვიდრე საკუთარ თავს, უპრიანი იქნება გავიხსენოთ გერმანელი მწერლის და ჟურნალისტის, ილიას დიდი თაყვანისმცემლის არტურ ლაისტის სიტყვები: – **„ვისაც მთვარიან ღამეს ნადიკვრიდან ალაზნის ველისთვის არ გადაუხედავს, ნუ იტყვის საქართველო მინახავსო.“**

საბჭოთა ხელისუფლების დროს (იყო და ვერსად გავექცევით!) ნადიკვარს კულტურის და დასვენების პარკის სტატუსი მიენიჭა და ბორცვსაც მალევე დაეტყო სახეცვლილება.მის კიდეებზე ჩაიდგა ხის „ბესედკები“ ანუ ფანჩატურები, სადაც კაცს წვიმასა თუ სიცხეში თავის შეფარება და ძელსკამზე ჩამოჯდომა შეეძლო. სამხრეთის კუთხე კი სააფხულო თეატრმა დაამშვენა, რომლის სცენა მომღერალ-მოცეკვავეებს და არც თუ იშვიათად სპორტსმენებს, უფრო მოჭიდავეებს ეთმობოდა. „ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს...“ და როგორ არა, მოფარებულში, ჩრდილო, ჩაცურებულ ფერდზე სასადილოც აშენდა (ისიც ხის). მოეწყო საცეკვაო მოედანი ცოცხალი (სასულე ორკესტრი) თუ ჩაწერილი (მაგნიტოფონი) მუსიკის თანხლებით და ცხოვრებაც აჩქეფდა. თუმცა, ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. ოთხმოცდაათიანი წლების განუკითხაობის დროს ფანჩატურები შეშად იქცა, თეატრი კი საეჭვო ქცევა-ზნის ახალგაზრდების თავშესაყარად. სწორედ მათ მიერ, გირჩებს მოკიდებულ ცეცხლს მოყვა ხანძარი, რომელმაც საბოლოოდ შთანთქა თეატრი.

ერთი სიტყვით, 2012 წელს თელავის და მათ შორის გაპარტახებული პარკის რეაბილიტაციისთვის ხელისუფლებაში მყოფ ნაციონალურ მოძრაობას სრული კარტბლანში მიეცა. ნურავინ დაიწყებს დავას, თუ რა კავშირშია პოლიტიკური ხელისუფლება ისეთ სპეციფიკურ დარგთან, როგორიც სივრცის ლანდშაფტურ-არქიტექტურული მოწყობაა. საგანგებო მიტინგზე, თელავის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელ პირად საქართველოს მაშინდელი იუსტიციის მინისტრი დასახელდა. საპარლამენტო არჩევნები კარზე იყო მომდგარი და ქალაქში დიდი ნგრევა-აღმშენებლობაც დაიწყო, მათ შორის, რა თქმა უნდა, ელექტორატის ხმების მოსაპოვებლადაც.

კიდევ ერთხელ ვიტყვი – ნადიკვარი ბუნების ძეგლია და აქ რაიმე ცვლილება დიდ განსჯა-სიფრთხილეს ითხოვს. თუმცა ის, რომ პარკში მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს სივრცე და მწვანე საფარი და შესაძლებლობის შემთხვევაში კიდევაც გაფართოვდეს იგი, ამას დიდი ცოდნა-გამოცდილება არ სჭირდება. თუმცა, ნაციონალური მოძრაობა მუდამ მოგებაზე (არა მხოლოდ პოლიტიკურზე!) რომ არის ორიენტირებული, ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს... და იქცა ნადიკვარი სამშენებლო „პლაშჩადკად“ დარგისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით! მოკრძალებულ, თვალს მოფარებულ ხის სასადილოს ნაცვლად, ბორცვის ზურგზე რკინაბეტონის შემინული ორსართულიანი კაფე-რესტორნის დომინანტი შენობა აღიმართა. მყუდრო, ძელსკამიანი ფანჩატურები, ღია, მინით შემოსაზღვრულმა და ხისიატაკიანმა ფეხზესადგომმა მოედნებმა ჩაანაცვლა. მსგავსი მზე-წვიმისგან დაუცველი „სადგომები“ მანამდე აუთვისებელ ჩრდილოეთის ფერდობზეც მოეწყო. ერთი სიტყვით, ვიღაც ძლიერ იყო დაინტერესებული ფიცრის შემოტანა– გასაღებით, დანარჩენი კი ნაკლებად აღელვებდა. ეს რომ ასეა, რამდენიმე წელიწადში გამოჩნდა – ღია ციშ ქვეშ ხე დალპა და აიყარა. მოხდა ის, რაც თავიდანვე ნათელი იყო! მოდი და ნუ გაგიჩნდება ეჭვი, რომ ნადიკვრის რეაბილიტაცია მავანის ჯიბის გასქელებას ემსახურებოდა და არა მის გაკეთილშობილებას. საამისო მტკიცებულება არაერთია, მათ შორის კი ერთი უმთავრესი– ბუნების ძეგლს და უბრალოდ თვალისთვის სასიამოვნო ბორცვს, ყელი გამოღადრეს და ღრმა თხრილით ორად გაყვეს. ზედ კი ისევ და ისევ ხის ხიდი გადეს. ამით ორი კურდღელი მოიკლა – ხიდების მოყვარული ქვეყნის პრეზიდენტის გასახარად (თბილისი-მტკვარი და შავი ზღვა – ანაკლია) თელავი-ნადიკვრის უწყლო ხიდიც მიემატა და ამით ყველა ფორმაციისთვის ტკივილამდე ნაცნობი ხარჯთაღრიცხვის გაზრდაც მოხერხდა.

დღეს სავსებით ნათელია, რომ ახალი რეაბილიტაცია თხრილის ამოვსებით უნდა დაიწყოს, რომლის არსებობაც ყველა წეს-კანონს ეწინააღმდეგება და ელემენტარულად ადამიანთა (განსაკუთრების ბავშვთა) გადაჩეხვის საშიშროებას ქმნის.მის ძირზე მორცხვად მოწყობილი საფეხმავლო ბილიკი სრულიად უფუნქციოა და მცირედითაც ვერ ამართლებს თელავის მასშტაბისთვის საუკუნო დანაშაულს. ხარვეზის გასწორება სათანადო ნების პირობებში შესაძლებელია და თანაც უფასოდ. ქალაქში ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს და მენაშენეთა ინტერესშია საძირკვლის მიწა აქვე ახლოს ნადიკვარზე ჩამოცალონ და არა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში.

ნადიკვარზე ბევრი სხვა პრობლემაც დაგროვდა და ამის მიზეზი თავად თელაველთა აზრის გაუთვალისწინებლობაა. ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყდეს (ღირსეულად და ყველა წეს-კანონის დაცვით) ლესია უკრაინკას ძეგლის ბედი, რომელიც ნადიკვარზე პოლიტიკური თამაშების შედეგად აღმოჩნდა.

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ნადიკვარზე ლესია უკრაინკას ძეგლის დადგმა გადაწყდა, რომელიც თავად პრეზიდენტ იუშჩენკოს უნდა გაეხსნა. მაგრამ მალევე გაირკვა, რომ რეიტინგით ტიმოშენკო ჯობნიდა კონკურენტს. შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, და ეს ბუნებრივია, ქალბატონისკენ გადაიხარა. ამგვარმა იწილო-ბიწილომ ორივე კანდიდატი გაანაწყენა და ჩამოსვლით არც ერთი არ ჩამოვიდა, ძეგლი კი შერჩა ნადიკვარს. ძეგლი, რომელიც სხვათაშორის, ცენტრალურ შესასვლელთან ზურგით არის მოქცეული. თელაველების აზრით, უპირობოდ ღირსეულ ქალბატონს რცხვენია იმ ადგილზე დგომა,რომელსაც არაერთი თვალსაჩინო ქართველი ახსოვს – ილია, აკაკი, ვაჟა, ,ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი და სხვა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ნადიკვარზე აიდგა ფეხი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა გურამ რჩეულიშვილმა. სათანადო ნების შემთხვევაში უადგილო ადგილას დადგმული ძეგლის უმტკივნეულოდ გადატანაც მოხერხდება.

ბოლო წლებში ქალაქის ცენტრში, ხევის ორივე მხარეს შესანიშნავი სკვერები მოეწყო. ერთ-ერთ მათგანს უპრიანია უკრაინა-საქართველოს მეგობრობის სახელი ეწოდოს და პოეტის ძეგლიც აქვე დაიდგას. მსგავსი მაგალითი უკვე არსებობს. ხევის მარჯვენა მხარეს ლიეტუვა – საქართველოს მეგობრობის აღსანიშნავად მემორიალი გაკეთდა სათანადო ბანერებით და აღნიშვნებით. ბალტიისპირელი სტუმრები ყოველ ჩამოსვლაზე სიამოვნებით და სიამაყით აკითხავენ ამ კუთხეს თაიგულებით ხელში.

დავუბრუნდეთ კვლავ ნადიკვარს. დღეს ის მოკლებულია სასმელ წყალს, ტრადიციულ ადგილზე ტრადიციული სოკო დამშრალია. არადა ქალაქი ნამდვილად არ ემდურის წყლის ნაკლებობას. ვითარების მიზეზი ალბათ კომერციულ ხრიკებში უნდა ვეძიოთ. მოგწყურდა? მიაკითხე კაფე-რესტორანს და დალიე კოკა-კოლა, შეგაწუხა მზე-წვიმამ და ფეხზე დგომამ? შეაფარე თავი რესტორანს და შეუკვეთე მაგიდა. ალბათ აჯობებს აქ შევჩერდეთ, რადგან პარკში დღესდღეობით საზოგადოებრივი საპირფარეშოც უმოქმედოა მგონი... შესაძლოა მავანს და მავანს ყოველივე წვრილმანად მოეჩვენოს,იმის ჩათვლით, რომ ტოპონიმი „ნადიკვარიც“ რესტორანს აქვს მიტაცებული (აკი ვთქვით დომინანტია-თქო!)

...სულ ახლახან ნადიკვრის კიბეებზე ასვლისას უცნაური საუბარის მომსწრე გავხდი. ექსკურსიაზე მყოფი ბავშვი მშობელს მობილურით პატაკს აბარებდა:– დედი, „ასთორმეტში“ ვიყავით, მამალები ვჭამეთ და კარუსელზე ვიკატავეთო. არ გაემტყუნებოდა ყმაწვილს, პარკის შესასვლელში მხოლოდ 112-ის თვალში საცემი ბანერი ელვარებს. ამ ციფრებს უკან მდგომი სამსახური სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ პარკის შესასვლელში ნადიკვრის სახელწოდებაც რომ ჭიატებდეს სადღაც, ცუდი არ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ სახლიდან სამშობლოს შესასწავლად გამოსული ყმაწვილი შეცდომაში არ შევიყვანოთ.

და ბოლოს, „ქართული ოცნება“ ნაციონალებისგან დაშვებული შეცდომების გამოსწორების დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში. რამდენად ქმედითია ეს დაპირება, ნადიკვრის წლევანდელი რეაბილიტაცია გვიჩვენებს.

ზურაბ არსენიშვილი,
„ს.რ.“-ის საკუთარი კორესპონდენტი. თელავი.

თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯი

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მორიგი პროფესიული კოლეჯი ქალაქ ხაშურში შენდება. ამ დროისთვის მშენებლობა საწყის ეტაპზეა. 150 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი შენობა სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შშმ პირთათვის სრულად

ადაპტირებულ შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მათ შორის მაღალტექნოლოგიური სახელოსნოები.

გარდა სასწავლო კორპუსისა, სასწავლებლის ეზოში განთავსდება თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი. კოლეჯში შესაძლებელი იქნება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორიცაა: **ელექტროობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე და სხვ.**

ერთ წელიწადში გრანტი 15 დევნილს გადაეცა

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა და ზუგდიდის მერმა გიორგი შენგელიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ე.წ საზღვრისპირა სოფლებში რიყესა და შამგონაში დევნილებისთვის დაფინანსებული სასათბურე მეურნეობები მოინახულეს.

სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გრანტი 15 დევნილს გადაეცა. დაფინანსების საშუალებით, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა სათბურები მოაწყვეს, რაც მათთვის დღეს უკვე შემოსავლის წყაროა. სააგენტოში აცხადებენ, რომ პროგრამის ფარგლებში, განაცხადების მიღების მომდევნო ეტაპი უახლოეს დღეებში გამოცხადდება და მასში მონაწილეობა დევნილებთან ერთად ეკომიგრანტებსაც შეეძლებათ.

ზესაიდუმლო იარაღის გამომგონებელი

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ფაშისტების ბლოკადაში მოქცეული ლენინგრადის (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის) აღებაში, მოსალოდნელ დიდ დანაკარგებზე ფიქრმა შეუშალა ხელი. საქმე ეხებოდა მოულოდნელ აფეთქებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანელების მიერ აღებულ სხვა ქალაქებში. სწორედ ასე წერია ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გერმანიის მაშინდელი ხელისუფლების საიდუმლო დოკუმენტებში. შემდგომში გაირკვა, რომ გერმანელებმა დიდი ზარალი მიიღეს ვლადიმერ ბექაურის მიერ გამოგონებების, ტანკებისა და წყალქვეშა ნავების პროექტები... ასე გადაუხადეს „მადლობა“ კომუნისტებმა ქართველს, რომლის გამოგონებულმა იარაღმა თავ-ბედი აწყევლინა გერმანელებს.



ბული ხელსაწყოებიდან, რადიოსიგნალებით მართვით, ნაღმების აფეთქებების შედეგად. ასეთ რადიომოწყობილობებს, რომლებსაც შეეძლოთ ნაღმების აფეთქება 170 კილომეტრი მანძილიდან, იმ პერიოდში ანალოგი არ გააჩნდა მთელ მსოფლიოში... მოწყობილობებმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანელთა დამარცხებაში. მისი გამომგონებელი კი მეორე მსოფლიო ომი დაწყების მომენტში ცოცხალი აღარ იყო.

ვლადიმერ ბექაური 1882 წელს თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფელ კიტოხში ივანე ბექაურისა და ეკატერინე ნოზაძის ოჯახში დაიბადა. მამა ადრე გარდაეცვალა და მარჩენალის გარეშე დარჩენილი ოჯახი ხაშურის მაზრის სოფელ ალში, ნათესავებთან გადასახლდა. ვლადიმერი ხაშურის რკინიგზის სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის მიხეილის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა.

1903-1904 წლებში ის ტექნიკოსად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მე–13 სამშენებლო უბანზე. აღსანიშნავია, რომ მისი ხელმძღვანელობით, ხარაგაულსა და ძირულას სადგურებზე გაიყვანეს 64 მეტრი სიგრძის გვირაბი. გვირაბის შესასვლელთან მარცხენა კედელზე ქვაზე ამოკვეთილი იყო ვ.ი. ბექაურის ინიციალები. გარდა ამისა, ტექნიკოსად მუშაობდა ჯულფა-თავრიზისა და კაუჩანძი-ჩუნჯულინის სარკინიგზო გზების მშენებლობაზე.

1907 წელს საცხოვრებლად ჯერ ციმბირში, შემდეგ პეტერბურგში გადავიდა, სადაც ცოლად შეირთო ლიდია ვალსტრემი (პუტილოვოს ქარხნის, წარმოშობით შვედი მჭედლის ქალიშვილი), რომელთანაც ერთი ქალიშვილი – ნინო შეეძინა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ვლადიმერ ბექაური ოჯახს წვრილ-წვრილი ტექნიკური გამოგონებებისა და ნახაზებისთვის მიღებული ფულით არჩენდა. იმ პერიოდში გამოიგონა ავტომატური დამცავი სიგნალიზაციის ხერხი, რომლის პატენტი შეისყიდეს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და იაპონიაში. ეს ბოლშევიკებს არ გამოჰპარვიათ და 1921 წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით დანიშნეს სპეციალური დანიშნულების სამხედრო გამოგონებების ბიუროს ხელმძღვანელად. სამუშაოებისათვის ქართველ გამომგონებელს 150 ათასი შვეიცარიული ფრანკი გამოუყვეს, თანაც ინჟინრებისა და ხელოსნებისგან შემდგარი 77-კაციანი ჯგუფი დაუქვემდებარეს. ბექაურის ხელმძღვანელობით იწარმოებოდა ნაღმები, ტორპედოები (როგორც სახმელეთო ტექნიკისთვის, ისე წყალქვეშა ნავებისთვის), კავშირგაბმულობის საშუალებები, საპარაშუტო ტექნიკა და მრავალი სხვა. ქართველმა გამოიგონა აპარატურა საჰაერო–სადესანტო ოპერაციათა ტექნიკის უზრუნველყოფისათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის რადიოტექნიკის დარგის განვითარებაში.

1929 წლისათვის წითელმა არმიამ ბექაურის ბიუროს მიერ დამზადებული 11 ახალი სახის იარაღი მიიღო, პარალელურად, 24 სახეობა კი გადიოდა გამოცდას. უშუალოდ ვლადიმერ ბექაურს ეკუთვნოდა შემდეგი სახის კონსტრუქციების გამოგონებები: პარაშუტის ავტომატური გახსნის მოწყობილობა დროის გარკვეულ მონაკვეთებში გასახსნელად (1922 წ.); მოწყობილობა ტორპედოს მოცემული ტრაექტორიით მოძრაობისა და აფეთქებისათვის (1924 წ.), ფარული რადიოსიგნალიზაციის ხელსაწყო, მანძილზე მართვის ხელსაწყო მცურავი კატარღებისათვის (1926 წ.) და სხვ.

საბჭოთა კავშირში რადიომაუწყებლობის სადგურების შექმნის შემდეგ, ვლადიმერ ბექაურს დაავალეს, ეხელმძღვანელა რადიოსიგნალის საშუალებით აფეთქებებისათვის. 1925 წელს შედგა პირველი საცდელი აფეთქება – ფუგასებამდე მანძილი 25 კილომეტრს შეადგენდა, მალევე ეს მანძილი 170 კილომეტრამდე გაიზარდა და რადიოთი მართული ასაფეთქებელი ხელსაწყო 1929 წელს ჩაბარდა სამხედრო წარმოებას. მისი სახელწოდება იყო „ბემი“ (ბექაურისა და მისი თანაშემწის პროფესორ მიტკევიჩის გვარების პირველი ასოების მიხედვით).

1932 წელს შეიქმნა მსოფლიოში პირველი ნაღმების რადიოთი მართვის საჯარისო ქვედანაყოფი. ასეთი ნაყოფიერი მუშაობისათვის და უნიკალური გამოგონებებისათვის, 1936 წლის 10 მარტს, ვლადიმერ ბექაური შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. მაგრამ,. მომდევნო წელს, ვლადიმერ ბექაური გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს და 1938 წლის 8 თებერვალს დახვრიტეს. ბექაურს დაუსრულებელი დარჩა რადიომართვადი უპილოტო თვითმფრინავების, ტანკებისა და წყალქვეშა ნავების პროექტები... ასე გადაუხადეს „მადლობა“ კომუნისტებმა ქართველს, რომლის გამოგონებულმა იარაღმა თავ-ბედი აწყევლინა გერმანელებს.

1941 წელს II მსოფლიო ომის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა ჯარები უკან იხევდნენ და გერმანელები იკავებდნენ რუსეთისა და უკრაინის ქალაქებს, ყველგან ამჩნევდნენ ერთი და იმავე ტიპის მოვლენას – შენელებული მოქმედების ნაღმების აფეთქებას ფაშისტების მიერ დაკავებულ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებზე. გერმანელებმა შენელებული მოქმედების ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის ერთი წელი დაკარგეს. გარდა ამისა, ცდილობდნენ ბექაურის გამოგონებულის ანალოგის შექმნას, მაგრამ უშედეგოდ. ვლადიმერ ბექაური რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს.

თენგიზ ჩოგანიძე

ქართულ ჯარს უფრო გემრიელი კერძებით გამოკვებავენ!

პროექტი, რომელიც თავდაცვის ძალების მზარეულების გადამზადებასა და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას ისახავს მიზნად, დაიწყება 1 ივლისს, წეროვანში, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ცენტრში.

პროექტის შედეგად ქართველი სამხედროების მენიუ უფრო მრავალფეროვანი გახდება და საგრძნობლად გაუმჯობესდება მათი კვების ხარისხი. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სპეციალურად მოწყობილ საველე სამზარეულოში თავდაცვის ძალების სამხედრო ბაზებზე არსებულ სასადილოებში მომუშავე მზარეულებს მასტერკლასებს საქართველოში ცნობილი მზარეულები ჩაუტარებენ.

„ლევან კობიაშვილი, ლუკა ნაჭყებია, მანუელ ფაშირს, ამერიკელებს, დავიწყოთ საკუთარი ვალუტის გამოშვება?... არ ვიცი, რაღაც უნდა ვიღონოთ, რამე უნდა გადაწყვიტოთ. ჩვენ ჩიხში ვართ და ასე ცხოვრება ვეღარ გაგრძელდება. არადა, ეს კრიზისის მხოლოდ დასაწყისია და ამ წლის ბოლოს, მომავალი წლის დასაწყისისთვის რა იქნება?! რა გველის, როცა იმ მინიმალურ ხელფასსაც ვეღარ გადავიხდით, რომელსაც ახლა ვფარავთ, როგორ იარსებოს ხალხმა?! აცნობიერებთ, რამხელა საფრთხის წინაშე ვართ? - შიმშილისა და უფულობის პანდემია უფრო საშიშია, რომ იცოდეთ, ვიდრე თავად ეს ვირუსი!“, – მიმართა მან დე ფაქტო ხელისუფლებას.

კიდევ ერთმა მეწარმემ – **ბესლან ქვარჩიამ** კი აღნიშნა, რომ „სადღეისოდ აფხაზეთის მოქალაქეები მხოლოდ იმ ფულის, პენსიებისა და ხელფასების ხარჯზე ცოცხლობენ, რომელთაც რუსეთი უხდით – ანუ იმ სახსრების ხარჯზე, რომელსაც თავად აფხაზეთი არ გამოიმუშავებს“.

„ჩვენ ვაკონტროლებთ საქონლის გატანას, მაგრამ არა მათ ლიკვიდურობას; დღეს ბანკების მხრიდან ითქვა, რომ თურმე, სურთ, მიიზიდონ არარეზიდენტები, მაგრამ საკუთარი რეზიდენტები თავად დააფრთხეს; ჩვენ არ გვაქვს საბანკო სისტემა, მის ნაცვლად განვითარებული გვაქვს ჩვეულებრივი მევახშეობა... ასე ბიზნესი ვერ განვითარდება“, – დაასკვნა ქვარჩიამ.

„აქცენტი“

ქართულ ჯარში მომუშავე შეფმზარეულებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს 44 დღის განმავლობაში ჩაუტარებენ. პროექტის მონაწილეები ქართული ჯარის კვების რაციონის გამრავალფეროვნებაზეც იმუშავებენ და მენიუს ახალ კერძებს შემატებენ. პირველ ეტაპზე მომზადებას 30 მზარეული გაივლის, რის შემდეგაც მათ სპეციალური სერტიფიკატები გადაეცემათ“, – ნათქვამია თავდაცვის უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, პროექტში მონაწილე მზარეულები მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში განახორციელებენ, პროცესის მონიტორინგს კი, საქართველოს კულინართა ფედერაციიდან 4 დარგის სპეციალისტი ჩაატარებს. პროექტის მონაწილეებს ირაკლი ღარიბაშვილმა მცხეთაში, პირველი ქვეითი ბრიგადის სასადილოში უმასპინძლა.

„უფულობის პანდემია“ აფხაზეთში

(დასაწყისი გვერდიდან)

მისივე ინფორმაციით, კარანტინის გამო ჩაკეტილი დე ფაქტო საზღვრებისა და შეზღუდვების პერიოდში ლეგალურმა ფულადმა ბრუნვამ 2 მლრდ რუბლი დაკარგა, რაც კოლოსალური თანხაა პატარა აფხაზეთისთვის და ეს, ბუნებრივია, აისახა მთელ მის ეკონომიკაზე.

„ხალხმა სამუშაო დაკარგა და დაიწყო ანგარიშებიდან ფულის მოხსნა, ბანკი კი ბრუნვისთვის სწორედ ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს იყენებდა. ახლა ფული აღარ გვაქვს. შესაბამისად, რომელ კრედიტების გაცემასა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე შეიძლება, ვისაუბროთ?! ...მთელი ეს საშინელი სურათი მხოლოდ მას შემდეგ შეიცვლება, რაც ეკონომიკა ამუშავდება, ბიზნესი განვითარდება და გადასახადების გადახდას დაიწყებს, ჩრდილოვანი ბრუნვა აღმოიფხვრება“ აი, მაშინ საბანკო სექტორში წამოვა ფული და შესაძლებელი გახდება კრედიტების გაცემა. მესმის და ვაღიარებ, რომ ეს შეკრული წრეა დ ყველაფერი ურთიერთკავშირშია, მაგრამ რეალობა ასეთია“, – დასძინა ბარათელიამ.

ომისშემდგომ აფხაზეთში პირველი კომერციული ბანკის დამაარსებელი **მიხეილ ჩალმაზი** სასწრაფო წესით ემისიის დაწყებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, მათ შორის – არარეზიდენტების საბანკო მომსახურების საფუძვლის შექმნის მიმართულებით: **„ფული არ არის და უახლოეს მომავალში არც იქნება, ასე რომ, კრედიტებს ნურავინ დაელოდება. ვფიქრობ, ახლა მაინც სასწრაფო წესით დავიწყოთ იმის კეთება, რაც ჯერ კიდევ 20 წლის წინ უნდა გვეკეთებინა. უნდა დაიწყოს ემისია, თანაც რაც მალე – მით უკეთესი. თუმცა პრობლემა იმაშია, რომ კანონმდებლობა ძალიან ჩამორჩება ტექნოლოგიებს, რომელიც უკვე დავნერგეთ და ვეღარ შევაჩერებთ. დაგვეხმარონ საკანონმდებლო გადაწყვეტილებებით, მაგალითად, მოგვცენ არარეზიდენტების მომსახურების შესაძლებლობა – დაგვრთონ რუსეთის მოქალაქეებისთვის ანგარიშების გახსნის ნება: ჩვენი მოსახლეობის 95% რუსეთის მოქალაქეობას ფლობს, მაგრამ რუსეთიდან ჩამოსული მოქალაქე აქ ანგარიშს ასე მარტივად ვერ ხსნის. არადა, თანასწორ პირობებში უნდა ვიყოთ“.**

მან გაიხსენა, რომ „ომამდე აფხაზეთში მოქმედებდა ბირჟა, იყო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა, ახლა ეს ყველაფერი შეჩერებულია, ხოლო ტერიტორიის ტოქსიკურობის გამო სახელმწიფო კრედიტებს ვერ იღებს“. თავის მხრივ, მეწარმე **დავით ფილიამ** დე ფაქტო ხელისუფლებისგან შექმნილ კოლაფსურ ვითარებაში მოქმედება მოითხოვა:

„ვითარება, რა თქმა უნდა, საშინელია, მაგრამ არა გამოუვალი: ჩვენ გვყავს მთავრობა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამინისტროები, უწყებები, ბანკები, პოლიტიკოსები უნდა დასხდნენ და გადაწყვიტონ, რა ვქნათ! გავხსნათ მეორე საზღვარი და ველაპარაკოთ ქართველებს, ევროკავ-

დასავლური ღირებულებები თვითონ დასავლეთს არაფრად უღირს!

როდესაც რასიზმის, სოციალური დისკრიმინაციის, ვითომ დემოკრატიის წინააღმდეგ აბობოქრებული ამერიკა გაანაგრძობს ქუჩის გამოსვლებით ურთულესი ვითარების შეცვლას, დასავლური ფასეულობებისთვის საძირკვლის შერყევაა! როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის ელიტას „ვაშინგტონის ჭაობს“ უწოდებს (ტრამპმა ეს ტერმინი თეთრ სახლში შესვლისთანავე გააჟღერა), რა დასავლურ, განსაკუთრებით ამერიკულ ფასეულობებზე ვსაუბრობთ?

როდესაც აშშ-ს უდიდესი პარტიის – „დემოკრატიულის“ პრეზიდენტობის კანდიდატად კორუფციულ საქმეებში გასვრილი ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენია დასახელებული, რა დასავლურ ღირებულებებზე ვლაპარაკობთ?

როდესაც (დოკუმენტით), თეთრებთან გათანაბრებული ზანგი არბევს პოლიციის შენობებს, წვავს პოლიციის ავტომანქანებს, ამსხვრევს მაღაზიების ვიტრინებს და ძარცვავს მათ, რომელ დასავლურ ფასეულობებთან გვაქვს საქმე?

არც ერთი ადამიანი – შავი, თეთრი თუ ყვითელკანიანი არ ჩაიდენდა იმ დანაშაულს, რასაც ის სჩადის აშშ-ში, სხვაგან. უნებლიედ იბადება კითხვა – ვინ და რამ აიძულა ისინი უმკაცრესი პროტესტისთვის?

პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა სისტემამ, ჩვენ რომ დასავლურ ფასეულობებად ვნათლავთ. როდესაც ამერიკელი, საკუთარ ქვეყანაში დაწვავს საკუთარი ქვეყნის დროშას, რა ფასეულობასთან გვაქვს საქმე?

როდესაც თანამედროვე ამერიკელები და ევროპელები კლასიკოსების შემოქმედებას ლამის კოცონზე წვავენ, ხოლო ისტორიული პიროვნებების, მათ შორის პრეზიდენტების ძეგლებს მიწაზე ანარცხებენ ან შეურაცხყოფენ – რა სახის ფასეულობებია?

როდესაც 80 წელს გადაშორებული ნენსი პელოსი – წარმომადგენელთა პალატის ლიდერი, კონგრესის კედლებზე ჩამოკიდებულ კონფედერატების პორტრეტებს ხსნის და სარდაფში აგზავნის – რა სახის ღირებულებებია?

გვიან, ძალიან გვიან (ასაკიდან გამომდინარე) ხომ არ გაახსენდა პელოსის რასიზმი და უთანაბრობა?

აშშ-ი რომ აფრიკელი ზანგების ოფლით, სისხლით, შრომით, დამცირებით, შეურაცხყოფით არის ნაშენი, ფაქტია. არ ყოფილიყვნენ ისინი და არ იქნებოდა აშშ-ს ეკონომიკა წარმატებული. ის ხომ ზანგთა სასტიკ ექსპლუატაციაზე არის აგებული?

რომ არ ყოფილიყო კოლონიალიზმი, რა დონეზე იქნებოდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, ბელგია, ესპანეთი, სხვები? სხვათა ძარცვით, ყვლეფით, დამონებით, ექსპლუატაციით მოიპოვეს მათ ის დიდება, რომელიც დღემდე შემორჩათ და რომელსაც უსამართლობად, სამარცხვინო ისტორიად თვლიან მათი თანამედროვენი. ამიტომაც შეუტიეს მათ „სახელგანთქმულ“ წინაპრებს – სხვათა ექსპლუატაციაში ხელგასვრილებს. თავები წააცალეს, ყვითელ-წითელი საღებავები შეასხეს მათ ძეგლებს. ზოგი მოხსნეს და მდინარეში გადაუძახეს, ზოგსაც განადგურებით ემუქრებიან.

ამერიკა-ევროპის დღევანდელთა მიხედვით ის, რაც ჩვენ ფასეულობები გვეგონა, სამარცხვინო ყოფილა.

ევროპა-ამერიკის შედევრები ლიტერატურაში, ხელოვნებაში, კულტურაში, მეცნიერებაში მხოლოდ შირმააო საშინელებათა დასაფარად, რასაც დასავლეთში ჰქონდა და აქვს ადგილიო. ასე აცხადებენ ამბოხებულები – მოითხოვენ რა მრავალსაუკუნოვანი უსინდისობის წაშლას, მის ადგილას ახლის – ჯერაც უცნობის აშენებას. ისინი ანგრევენ იმ ფასეულობებს, რომლებზეც დგანან, ჩვენ, უვიცნი, ინფორმაციამოკლებულნი, თანამედროვე მსოფლიო საკითხებში გაუთვითცნობიერებელნი, მათ „ფასეულობებს“ შევხარით, მათკენ მიგვიხარია.

როდესაც თითქმის ყველა ქალაქში პოლიციელები ზანგების წინ იჩოქებენ – რა ფასეულობაა?

როდესაც ახლადშექმნილ ორგანიზაცია „შავის ცხოვრება მნიშვნელოვანია“-ს თეთრი მილიონერები მსუყე თანხებს ურიცხავენ – რა ფასეულობაა და თუ არის, რატომ არ აქცევდნენ ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას?

„ფასეულობა“ შედრკა, შეშინდა. სიცოცხლის, მოხვეჭილი ქონების შენარჩუნების მიზნით მზად არის ყველაფერი აიტანოს – თავზე დასვრაც კი. ეს არის ფასეულობა? ამისთვის მივრბივართ იქით?

ძველი, ევროპული ფასეულობები ქარმა წაიღო. მათ ნაცვლად ახალი გაჩნდა – ჭარბი გენდერული, სექსუალური თავისუფლება, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, გეიპარადები, „მამაკაცთა“ კურტუმოს თამაში, ნარკომანია, ... საჯარო თავშეყრის ადგილებში, ტელესტუდიებში აღვირახსნილი ბილწსიტყვაობა, ინგლისური სიტყვების ჟღარუნით თავმოწონება, უფროსასაკოვანთა შეურაცხყოფა, მათი დარბაისლობის ფეხქვეშ გათელვა.

ვითომ ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას სატელევიზიო ლანძღვა-გინება – ყოველგვარ საზღვრებს გადასული, ის ღირებულებებია, რომელსაც ვეთაყვანებით? ისიც ხომ დასავლური თავისუფლების იმპორტირებამ მოიტანა?

შემედავებით – არ ვეთაყვანებითო! კეთილი, თუ „არა“ – სად არის თქვენი ხმა, ინტელიგენციის ხმა, უბრალო წერა-კითხვის მცოდნის, მაგრამ შეგნებული ადამიანის საპროტესტო ხმა გაბუნიას უზრდელობაზე?!

ერი დუმს. კალმოსნები ცოტას წერენ. ორატორნი ხმაჩაკმენდილნი არიან. პოლიტიკოსნი მით უმეტეს ანუ საყოველთაო ერთსულოვნებასთან გვაქვს საქმე. ანუ ყველა ჩვენგანი ისე სუნთქავს, როგორც გაბუნია. ანუ ერის სახე გაბუნიაშია განივთებული?

ჩვენ ვერ ვგრძნობთ, რომ გაბუნიას ბილწსიტყვაობა არ შეეფერება მრავალსაუკუნოვან, დიდი კულტურის მქონე ერს. გაბუნიას ყოველი ბინძური სიტყვა ერის, ქვეყნის სიტყვად აღიქმება.

ვაი, უბედურო, „ამაყო“, დასავლეთისკენ მავალო საქართველოვ! ვაი, ჩვენო დიდო და სათაყვანებელო სტრატეგიულო პარტნიორო, ქვეყანავ, სურვილიც რომ არ გაქვს უწმაწური სიტყვებისთვის ყური აუწიო ყიამყრალ შენს მოსწავლეს. როდესაც ასეთ სურვილს არ იჩენ, შენ ხომ არ აქეზებ მას, მისთანებს პროვოკაციისთვის? იქნებ 2008 წლის ომი გვაკმარო – ახალი ხომ მიწასთან გაგვასწორებს?!

რაო? თქვენი სურვილიც ეს არისო?! რუსული აგრესიის შესაკავებლად ყველაფერი უნდა ვილონოთო? რაღა თითოროლა ქართველის ხარჯზე?!

ერაყი, ავღანეთი, აფრიკა – საკმარისი არ არის! ჩვენ რა შუაში ვართ, თქვენ თვითონ გვეტენებითო – გვესმის ოკეანისგადაღმიდან, იმ ქვეყნიდან, სადაც დასავლური ფასეულობების, დემოკრატიის სათავე გვეგულება. სწორედ ამ სათავეს ემუქრებიან გამოღვიძებული იქაურები. მისი ამოშრობა სურთ, როგორც ტრამპს „ვაშინგტონის ჭაობის“. დააცლის მას აშშ-ს ისტებლიშმენტი? ძნელი სავარაუდოა.

პრეზიდენტის წინააღმდეგ ფართო ფრონტით გახსნილი თითქმის ოთხწლიანი ბრძოლა უსასტიკეს ფორმებს იღებს, რაც ვერავითარ პოლიტიკურ ფასეულობებში ვერ ჯდება. ამერიკული ბრძოლა ზანგთა უფლებებისთვის, თანაბრობისა და დემოკრატიისთვის საშური ენთუზიაზმით აიტაცეს ევროპელებმა და ისინიც, ამერიკელთა მსგავსად, დაერივნენ საკუთარ ისტორიას, ფასეულობებს, ყოველივე იმას, ჩვენ რომ ბეჯითად გადმოგვაქვს.

ევროპულ ფასეულობას ბევრი აქვს მისაბაძი, უფრო მეტი კი საძრახი. სამწუხაროდ, ვიღებთ მეორეს – მოჩვენებით ემანსიპაციას – ახლახან ნათია ფანჯიკიძემ რომ გადმოიღო და ფეისბუქში დადო. საკითხი ქორწინებას, ოჯახს ეხება, უფრო სწორად მეტ თავისუფლებას, აღვირახსნილობას: „საჭირო რომ ყოფილიყო, თავიდანვე „დაქორწინებულებს“ გაგვაჩენდა ღმერთი“ – წერს ყოფნა-არყოფნის, მიცემა-არ მიცემის ფილოსოფიაში გადავარდნილი ქალბატონი.

არ შევუდგები მისი „შედევრის“ გამო მკითხველის ყურადღების მიპყრობას, მითუმეტეს მას საფუძვლიანი პასუხი გასცა ალეკო ასლანიშვილმა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ბატონი ალეკოს მიერ მოყვანილი ბოლშევიკური სქესობრივი თავისუფლების ისტორია ფანჯიკიძემ ისე იცის, როგორც მე ჩინური. ის თანამედროვე სექსუალურ თავისუფლებას აშშ-ში ეზიარა, ე.წ. „თავისუფლების მექაში“ – ალენ დალესის თეორიებზე აღზრდილში.

საძრახისს შორის აშკარად გამოკვეთილია ევროპული მოჩვენებითი სუვერენულობა, დემოკრატია, თავისუფლება. 80 წელი რომ ვიღაცის დიქტატის ქვეშ იცხოვრებ, ვიღაცის მითითებებს, ბრძანებებს ასრულებ, ვიღაცის ცხოვრებას, შენს ტრადიციებს ამჯობინებ, შედეგი გასაკვირია?

როდესაც აშშ-ი საკუთარ ხუშტურებს ძალისმიერად თავს ახვევს ე.წ. ევროპელ პარტნიორებს, ის დასავლური ფასეულობებია, რომელსაც ბრმად უნდა ვეზიაროთ?

იქნებ ევროპელთა ამბოხი ყველაფერთან ერთად ამერიკული კვერთხის წინააღმდეგ დაწყებული გრძელვადიანი პროტესტია?

მონოლითური, მტკიცე, მარადიული არაფერია დედამიწაზე. ყოფილ საბჭოელებს ვერ წარმოგვედგინა მსოფლიო გიგანტის თვალსა და ხელშუა დაშლა. შენებას სჭირდება საუკუნეები, დაშლას – დღეები, წუთები, წამები, რაც იცის აშშ-ს პოლიტიკამ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის გადარჩენისთვის.

ამ ბრძოლაში ყველაფერს იყენებს. განსაკუთრებით სიცრუეს, სიყალბეს. განა სიყალბე არ არის მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვება საკუთარ თავს და დასავლეთს მიაწერო, ხოლო მსოფლიოს ფაშიზმისგან გადამრჩენელი დაივიწყო?

მსოფლიო ისტორიისთვის, რომლის გადაწერითაც კოლექტიური დასავლეთია დაკავებული, ფაშიზმის დამმარცხებელი აშშ-ი უცნობია, მაგრამ მსოფლიო ისტორიამ კარგად იცის ვისთვის, რომელი ქვეყნისთვის იყო ფაშიზმთან ომი მომგებიანი. ეს აშშ-ია, რომელმაც 57 მილიარდი დოლარის მოგება ნახა არა მარტო ფაშისტური მანქანის დაფინანსებაში და სამხედრო შეკვეთების შესრულებაში, არამედ საბჭოთა კავშირისთვის „ლენდ-ლიზის“ პროექტის ამოქმედებაში.

ამერიკელი გენერალი, შემდგომში პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, აშშ-ს ჯარების სარდალი ევროპაში ამბობდა – ნახევარმა ამერიკამ არ იცის ევროპაში, ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ომის შესახებო.

ასეთი რომ დღისით, მზისით გამარჯვებას მოგპარავს – რა ღირებულებებზეა ლაპარაკი?

მაშ, ვიაროთ იმ დასავლური ღირებულებების მოსაპოვებლად, იმავე დასავლეთს რომ არაფრად უღირს!



ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აშშ-ს მსოფლიო ლიდერობაზე აღარ აქვს პრეტენზია

საერთაშორისო გამოცემებთან ინტერვიუში გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მსოფლიომ უნდა შეცვალოს საკუთარი მოლოდინები აშშ-ს მიმართ, რადგან მას მსოფლიო ლიდერობაზე აღარ აქვს პრეტენზია.

„ჩვენ გავიზარდეთ იმ ცოდნით, რომ აშშ-ს უნდოდა, ყოფილიყო მსოფლიო ძალა. თუ აშშ-ს ამ როლის საკუთარი ნებით უკან ჩამოტოვება მოუნდა, ჩვენ ამის სიღრმისეული ანალიზი უნდა მოვახდინოთ“, – განაცხადა მერკელმა.

ანგელა მერკელი გერმანიიდან ამერიკელი ჯარისკაცების ნაწილის გაყვანის დონალდ ტრამპის ინიციატივასა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მხრიდან წამოსულ კრიტიკასაც გამოეხმაურა. აშშ-ის პრეზიდენტი გერმანიას ნატოს ბიუჯეტში არასაკმარისი კონტრიბუციისთვის აკრიტიკებს.

როგორ შემოიტყუა საბჭოთა უშიშროებამ ქვეყნიდან გაქცეული მფრინავი უკან?

5 უჩვეულო გაქცევა საბჭოთა კავშირიდან

ცნობილია, რომ „რკინის ფარდის“ წყალობით, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანს სამშობლოს ლეგალურად დატოვება არ შეეძლო. 80-იან წლებში უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობაზე წელიწადში მხოლოდ 2 000-მდე ვიზა გაიცემოდა, ამიტომ ხშირად საბჭოთა კავშირიდან წასვლის მსურველებს არალეგალური სქემების შედგენა და რადიკალური ზომების მიღება უწევდათ. ისტორიამ დიადი საბჭოეთიდან გაქცევის უჩვეულო შემთხვევები შემოინახა, რომელსაც ჩვენს წერილში გთავაზობთ.

წითელი საცურაო კოსტიუმი

ლილია გასინსკაია საბჭოთა კავშირიდან გაქცევაზე ბავშვობიდან ოცნებობდა და ოცნების ასრულების საუკეთესო საშუალებად საკრუიზო ლაინერ „ლეონიდ სობინოვზე“ ოფიციანტად მუშაობა მიიჩნია. 1979 წლის იანვარში თბომავალი სიდნეის პორტში გაჩერდა. გოგონამ დრო იხელთა, წითელ საცურაო კოსტიუმში გამოეწყო, ილუმინატორიდან გადახტა და ნაპირისკენ გაცურა. საბჭოთა საკონსულომ გასინსკაიაზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადა, მაგრამ ოფიციანტი გოგონა პირველად ადგილობრივმა ჟურნალისტებმა იპოვეს და გადამალეს.

ავსტრალია, რომელსაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გართულება არ სურდა, გასინსკაიასთვის თავშესაფრის მიცემის საკითხს დიდხანს ვერ წყვეტდა. ამასობაში გოგონა ადგილობრივ მედიაში ინტერვიუებს არიგებდა და სამშობლოს უკანასკნელი სალანძღავი სიტყვებით მოიხსენიებდა. ამბობდა, რომ მისთვის საძულველი კომუნიზმი მხოლოდ სიცრუეზე და პროპაგანდაზეა აგებული და ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს ამ სიყალბეში ცხოვრება არ შეუძლია.

საბოლოოდ, ლილია გასინსკაიამ ახალ სამშობლოში პოლიტიკური თავშესაფარიც მიიღო და პოპულარობაც. ის თავისი წითელი საცურაო კოსტიუმით სიამოვნებით პოზირებდა მოდური ჟურნალებისთვის და რამდენიმე სერიალის მონაწილეც გახდა.

გაქცეული მფრინავები

1948 წელს ორი მფრინავი — ანატოლი ბარსოვი და პეტრე პიროგოვი საბჭოთა გგუ რჱ-2-ით ავსტრიის მიწაზე დაეშვნენ და ამერიკის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი თხოვეს. აშშ-ს ხელისუფლებამ მფრინავების თხოვნა დააკმაყოფილა. პიროგოვმა ახალ სამშობლოში წიგნების წერა და ლექციების კითხვა დაიწყო და სამი წლის შემდეგ მასავით, საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ თანამემამულეზე დაქორწინდა.

მეორე მფრინავის საქმე ცუდად აეწყო. ანატოლი ბარსოვმა სამსახურის შოვნა ვერ მოახერხა და სევდას ალკოჰოლის სმაში იქარვებდა. დეპრესიაში ჩავარდნილ მფრინავს საბჭოთა კავშირი ნებაყოფლობითი დაბრუნების შემთხვევაში, ამნისტიას პირდებოდა. ანატოლიმ დაიჯერა და დაბრუნდა, მაგრამ ამნისტიის ნაცვლად, რამდენიმე თვეში დახვრიტეს.

საოცნებო ქვეყანაში ინდოეთის გავლით

1986 წელს 25 წლის ნოვოსიბირსკელი დიმიტრი სოკოლენკო საბჭოთა ტურისტების ჯგუფთან ერთად, ინდოეთში სამოგზაუროდ გაემგზავრა.

დელიში ჩასვლის პირველივე დღეს, სოკოლენკომ სასტუმრო დატოვა და ამერიკის საელჩომდე სირბილით მივიდა, სადაც ორი კვირის მანძილზე თავს აფარებდა. ხანგრძლივი პროცედურების გავლის შემდეგ საბჭოთა ტურისტი ნიუ-იორკში ჩავიდა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

როცა ოცნებისთვის სიცოცხლეს რისკავ

1970 წელს ნიუ-იორკის სანაპიროზე საბჭოთა თევზსაჭერმა გემმა უბედურების სიგნალი გაუშვა. საქმე ის გახლავთ, რომ გემის ბორტზე მყოფი 25 წლის ლატვიელი ოფიციანტი სიკვდილს ებრძოდა. დაინა პალენა სასწრაფოდ ნიუ-იორკის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც მის ორგანიზმში ძლიერმოქმედი პრეპარატების დიდი დოზა აღმოაჩინეს.

როგორც გაირკვა, გოგონამ თავი მოიწამლა, რომ თევზსაჭერი გემიდან აშშ-ის მიწაზე გადაეყვანათ და პოლიტიკური თავშესაფარი ეთხოვა. პალენა ნიუ-იორკის კლინიკაში დაახლოებით, ერთი კვირა, საბჭოთა დიპლომატიური მისიის წევრების დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა.

გონზე მოსვლის შემდეგ გოგონამ სამშობლოში დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სიცოცხლე იმიტომ არ გამირისკავს, რომ უკან დავბრუნდე — განაცხადა მან. ამერიკის ხელისუფლებამ სამკვირიანი ფიქრის შემდეგ დაინას თხოვნა დააკმაყოფილა. რამდენიმე თვის შემდეგ ლატვიელმა გოგონამ ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ სუპერმარკეტში მუშაობა დაიწყო.

100 კილომეტრი ცურვით

ოკეანოლოგი სტანისლავ კურილოვი მთელი ცხოვრება მოგზაურობაზე ოცნებობდა, მაგრამ საბჭოთა ბიუროკრატია ოცნების ასრულების საშუალებას არ აძლევდა. საბოლოოდ, კურილოვი რადიკალურ ნაბიჯზე წავიდა — 1974 წელს საკრუიზო ლაინერიდან წყნარ ოკეანეში გადახტა და ფილიპინების უახლოეს კუნძულამდე 100 კილომეტრი იცურა. ამ უკიდურესად საშიში და თითქმის თავზეხელაღებული გაქცევის შესახებ იმ დროს მთელი მსოფლიოს პრესა წერდა. საბოლოოდ, საბჭოთა ოკეანოლოგი კანადაში გადაიყვანეს, სადაც მოქალაქეობა მიიღო. მოგვიანებით, კურილოვმა საკუთარი პიცერია გახსნა.



ცოლის მოყვანის შემდეგ კურილოვი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა და რამდენიმე წლის წინ, ოკეანეში საძიებო სამუშაოების შესრულების დროს დაიღუპა.

„პროგრესნიუსი“

რას აკეთებს და რას აპირებს ანაკლიის ნავსადგურის განვითარების სააგენტო

ახალი ინვესტორის შესარჩევად ტენდერი 2021 წლამდე არ გამოცხადდება, მანამდე კი წინა წელთან მილიონით გაზრდილი დაფინანსებით ანაკლიის ნავსადგურის განვითარების სააგენტო ტენდერისთვის ემზადება.

სააგენტოში განმარტავენ, რომ **“ტენდერამდე არსებული პერიოდი გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ განახლდეს სატენდერო დოკუმენტაცია, მომზადდეს დამატებითი ეკონომიკური კვლევები და გატარდეს მარკეტინგული ღონისძიებები პოტენციური ინვესტორების მოზიდვის მიზნით“,** უშუალოდ ტენდერი კი მომავალი წლის დასაწყისში გამოცხადდება.

„მიუხედავად პანდემიასთან დაკავშირებული ვითარებისა, ანაკლიის პორტის მშენებლობა რჩება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. შესაბამისად, მუშაობის შეწყვეტა აღნიშნული მიმართულებით არ იგეგმება“ — უთხრეს „რადიო თავისუფლებას“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში.

სააგენტოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს მისი ბიუჯეტი თითქმის ერთი მილიონით მეტია წინა წელთან შედარებით და 3-ჯერ არის გაზრდილი 2017 წლის შემდეგ, როცა ის შეიქმნა. ამ დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა არც შტატიან და არც შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა, თუმცა მკვეთრად გაიზარდა დასაქმებულთა ანაზღაურება.

სააგენტოს ახალი დებულების მიხედვით, რომელსაც ხელს ეკონომიკის მინისტრი აწერს, სააგენტოს ხელმძღვანელს უფლება ეძლევა, ჰყავდეს ორი მოადგილე. სააგენტოში არ განმარტავენ, რამ გააჩინა ორი მოადგილის საჭიროება ორგანიზაციაში, სადაც არსებობის განმავლობაში შტატიან თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა 3 იყო და მის ხელმძღვანელს ერთი მოადგილე მანამდეც ჰყავდა.

„უახლოეს მომავალში სააგენტო არ გეგმავს ახალი თანამშრომლების აყვანას, თუმცა წლის ბოლომდე აღნიშნული მოცემულობა შესაძლოა შეიცვალოს საჭიროებიდან გამომდინარე“ — ამბობენ სააგენტოში.

თანამშრომელთა ანაზღაურების გარდა სააგენტოს ხარჯები ხმარდება, იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებას. ჯამში 12 ხელშეკრულება სააგენტოს 3 სხვადასხვა კომპანიასთან გამარტივებული შესყიდვით აქვს გაფორმებული. 2020 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, მხოლოდ წელს იურიდიული კონსულტაციებისთვის სააგენტოს ბიუჯეტიდან გადახდილია 966 114 ლარი. 1 081 391 ლარის იურიდიული მომსახურება შეისყიდა სააგენტომ 2019 წელს. წინა წლებში ამ მიზნით დახარჯული თანხა 150 000-ს არ სცდებოდა (2017 წელი — 117 354 ლარი, 2018 წელი — 149 660 ლარი;).

თითქმის ერთი წლის წინ, 2019 წლის მარტში არსებობდა გეგმა და იმედი, რომლის თანახმადაც, ანაკლიის პორტს პირველი გემი 2020 წლის ბოლოს უნდა მიეღო.

2017 წლის 23 მარტს შექმნილ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს“ 2020 წელს 6 თებერვალს ფუნქციები შეცვალა და თუ მისი ვალდებულება მანამდე მთავრობასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმ“ შორის დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი (ინვესტორის მიერ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების ზედამხედველობა) იყო, ახლა, როცა კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვეტილია, სააგენტოს ახალი ინვესტორების პოვნა ევალება.

ნასტასია არაბული

დღეს რომ ვწუწუნებთ, მომავალი თაობა კომპიუტერმა „მოგვიწამლაო“, პარალელს, ძალაუნებურად, ახლო წარსულთან ვავლებთ, როცა ახალგაზრდობას არც განათლება აკლდა და არც გართობა, მაგრამ უპირველესად მაინც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მიიჩნეოდა, რაც, უმეტესწილად, მიიღწეოდა კიდეც.

ამ საშვილიშვილო საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს 3000-კაციან კოლექტივს, სადაც სპორტი და ხელოვნება პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა.

როცა „ტტუ“-ს სასახელო ტრადიციებზე ვსაუბრობთ, გამორჩეულად უნდა მოვიხსენიოთ ამ მოწინავე უწყების სპორტკლუბ „სინათლის“ (დირექტორი ზურაბ ლეონტიევი-ბარბაქაძე) ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა და, განსაკუთრებით, კალათბურთელთა გუნდების მიერ მოპოვებული წარმატებები. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი მუზარადის პრესტიჟულ ტურნირებზე გამგზავრების წინ დიდუბის შესანიშნავ დარბაზში თვით სწორუპოვარი ალექსანდრე მეტრეველიც კი ვარჯიშობდა, რადგან ჩოგბურთის ბურთი პარკეტზე დაახლოებით ისევე აირეკლებოდა, როგორც ბალახზე. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია.

არანაკლები ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში იქაური სიმღერისა და ცეკვის პოპულარული ანსამბლი, რომელმაც აღიარებული ქორეოგრაფების – ბუხუტი დარახველიძის, ხოლო მოგვიანებით – გივი სიხარულიძის თავკაცობით არაერთხელ დაიმსახურა რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალებისა თუ დათვალიერებების ლაურეატობა, რაც სოლიდური დოზით დედაქალაქის პირველი კვარტეტის წევრის, კლუბის ხელმძღვანელ აკაკი დოკვაძის სახელსაც უკავშირდებოდა.

ბუნებრივია, რომ არა „ტტუ“-ს ლეგენდარული უფროსი მიხეილ ჩიკვაიძე, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ასეთი შედეგები. იგი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის ეპოქიდან მოყოლებული უძღვებოდა წამყვან ორგანიზაციას და როგორც ხშირად ხდებოდა (და ხდება დღესაც), შემდგომში... ელექტროტრანსპორტის განყოფილების შეფად დააქვეითეს. რას ვიზამთ, უმადურობა ხომ ჩვენი მარადიული თანამგზავრია.



ჩოგბურთისთვის დაბადებული

– მეამაყება, ასეთ პროფესიონალთან რომ მომიწია თანამშრომლობა – მეუბნება 1982-1986 წლებში თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი, სპორტის ერთგული გულშემატკივარი, თვალსაჩინო საჩოგბურთო მოღვაწე მირიან ანდრიაძე. პასუხსაგებ თანამდებობაზე დედაქალაქის პირველი მაისის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგის ინსტრუქტორობიდან ამირჩიეს, სადაც თანამოაზრეებთან, მათ შორის – კომკავშირის კომიტეტის მდივნად ჩემი რეკომენდაციით დაწინაურებულ **მამუკა გურიელთან** ერთად საკუთარი პრინციპები გავიტანე და „ტტუ“-ს, გარკვეულწილად, ძველი დიდება დავუბრუნეთ.

– ებრაელთა უბანში – ვერცხლის ქუჩაზე დაბადებული კაცი სპორტის საყვარელი სახეობით როგორ „დასნეულდით“?

– ჩოგბურთში პინგ-პონგიდან გადავედი. მახსოვს, მაშინ ბავშვებმა „ნემეცკი შჩოტით“ შესაბამისი მაგიდა შევიძინეთ და „ტუპიკში“ მოძრაობას ვკეტავდით.

რომ წამოვიზარდე, უკვე ქუხდა მეტრეველის სახელი და მეც, როგორც მისი ერთ-ერთი ფანი, ჩოგბურთით დავინტერესდი. სანაპიროზე, „დინამოს“ განთქმულ კორტებზე, უბნელი ვაჟა ლოლუასგან 2 კვირით ნათხოვარი ჩოგნით ჩავედი, რომელიც 2 თვით „დავიტოვე“. შემდეგ შევიტყვე, რომ, თურმე, ჩოგნის თხოვება ცუდის ნიშანი ყოფილა. დასახელებულმა ორმა თვემ განსაზღვრა კიდეც ჩემი საბოლოო არჩევანი...

– თუმცა, შემდეგ იყო გაუთვალისწინებელი შესვენება...

– დიახ, ჯარში გამიწვიეს და, იქიდან დაბრუნებული, ჩემს მშობლიურ საწარმოში – თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში ერთ-ერთი მთავარი-ტექნოლოგიური (დამამზადებელი) საამქროს უფროსად დამნიშნეს. ასეთმა დატვირთულმა სამუშაო გრაფიკმა საჩოგბურთო ცხოვრებაში დროებითი პაუზა ამაღებინა.

– კარიერის განახლების შემდეგ კი ღირსეულ მონაგარს მოუყარეთ თავი. საქართველოში გამართული სამოყვარულო ტურნირების 7-გზის ჩემპიონი და 15-გზის ფინალისტი რომელ გამარჯვებებს გამოყოფდით?

– ასეთი რამდენიმეა და სამივე წყვილთა თანრიგშია მოხვეჭილი: ჩემი კუმირის ალექსანდრე მეტრეველის სახელობის თასის – ალექსანდრე გეგეჭკორთან ერთად, გივი კოკაიას სახელობის თასის – გია ელერდაშვილთან ერთად და ქართული ჩოგბურთის უანგარო თანამდგომის – კომპანია „დემასის“ **(დემურ ინასარიძე)** თასის მოგება გელა ელერდაშვილთან ერთად.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ თუ ადამიანს მის მიერ გაწეული სამუშაოს საბოლოო შედეგებით შევაფასებთ, მაშინ ჩოგბურთში მირიან ანდრიაძის პირადი დამსახურებაა საქართველოში გაჩაღებული სამოქალაქო და საოკუპაციო ომების წლებში უდიდესი ტრადიციების მქონე საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ ფუნქციონირების შენარჩუნება სრული ციკლით და მთელი კოლექტივით. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში კლუბ „დინამოში“ მსოფლიო დონის ჩოგბურთელად მწვრთნელ რენა აბჟანდაძის შეგირდ ირაკლი ლაბაძის აღზრდა და ჩამოყალიბება.

და ბოლოს, საქართველოში პროფესიული და სამოყვარულო ჩოგბურთის განვითარებაში ღირსეული წვლილის შემტან 70 წლის ძვირფას იუბილარს, თითქოს მისი ბედისწერააო, უფალმა მხსნელის მისია დააბერტყა. დიახ, საყოველთაო ძნელბედობის ჟამს, სავალალო ისტორიული ქარტეხილებით ცნობილ წლებში სწორედ მან, როგორც დირექტორმა, იტვირთა გადამრჩენლის როლი და სამშობლოს შეუნარჩუნა საიჯარო საწარმო „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“, სადაც აიდგა ფეხი.

მრავალჟამიერ, ბატონო მირიან!

გია პლატონიშვილი

სადარბაზო ბარათი

მირიან ანდრიაძე – საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის დამფუძნებელი და ყოფილი წევრი, ვანდალურად მიწისაგან პირისა აღგვილი შპს „ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი პრეზიდენტი, მოგვიანებით გენერალური დირექტორი, ამჟამად – საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის აქტიური წევრი. ქართული ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ორჯერაა დაჯილდოებული საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის საპატიო სიგელით. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი წვლილისა და დამსახურებების გათვალისწინებით, წარდგენილია საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებაზე.

◎ ლეგიონერები

დამსახურებული აღიარება

გიორგი შერმადინი ესპანური ლიგის უძლიერესი ცენტრია. „ტენერიფეს“ ქართველმა ლეგიონერმა სეზონის საუკეთესო ხუთეულში საკვანძო ადგილი დაიკავა, დანარჩენი პოზიციები კი შემდეგმა გამორჩეულმა მოთამაშეებმა შეავსეს: ფაკუნდო კამპაცო („რეალი“, გამთამაშებელი), კლემენ პრეპელიჩი („ხუვენტუდი“, მსროლელი), ალექს ბუტილი („უნიკახა“, ფრთა), ნიკოლა მიროტიჩი („ბარსელონა“, ფორვარდი).

აღსანიშნავია, რომ შერმადინმა უკვე მეორედ მოიპოვა ადგილი ესპანური ლიგის საუკეთესო ხუთეულში. ეს მან პირველად 2016-2017 წლების სეზონში მოახერხა, როცა „ანდორაში“ ასპარეზობდა.

საუკეთესო ხუთეული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომელშიც გულშემატკივრები, ჟურნალისტები და თავად მოთამაშეები მონაწილეობდნენ. თითოეული რჩეული 3 პოზიციად იყო დაყოფილი: გამთამაშებლები, მსუბუქი და მძიმე ფორვარდები. გამთამაშებელთაგან ხუთეულში მხოლოდ საუკეთესო (კამპაცო) მოხვდა, ხოლო დანარჩენი პოზიციებიდან სიმბოლურში 2-2 მოწინავე შევიდა.

მსუბუქ ფორვარდებში კამპაცომ მარსელინიო უერტასს აჯობა, პრეპელიჩმა და ბუტილმა კი ადამ ჯანგას და ალბერტო აბალდეს გადააჯწრეს. რაც შეეხებათ მძიმე ფორვარდებს, მიროტიჩმა და შერმადინმა გამოკითხვაში თორნიკე შენგელიას და ვალტერ ტავარეშს აჯობეს. აღსანიშნავია, რომ შერმადინმა 55 პროცენტი მიიღო, ხოლო შენგელიამ – 40.

შესაბამისად, **თორნიკე შენგელია** ესპანური ლიგის მეორე კვინტეტში შევიდა. მასთან ერთად ხუთეულში დაასახელეს: **მარსელიონიო უერტასი („ტენერიფე“), ალბერტო აბალდე („ვალენსია“), ადამ ჰანგა („ბარსელონა“) და ვალტერ ტავარეში („რეალი“).**

ხუთეულებთან ერთად, ცხადია, გამოვლინდა სეზონის საუკეთესო მოთამაშეც, რომელიც ბარსელონელი ნიკოლა მიროტიჩი გახდა.

ესპანური ლიგის სიმბოლურ სუთეულში მოხვედრის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდთან კომენტარი გააკეთა გიორგი შერმადინმა: **„ესპანური ლიგის საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა როგორც ჩემთვის, ისე ყველა ამ ტიტულის მფლობელისთვის. აღნიშნული გამოკითხვის შესახებ ყველამ იცოდა და მოთამაშეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საუკეთესოთა შორის იმსახურებდნენ ადგილს, მოუთმენლად ელოდნენ შედეგების გამოქვეყნებას. დღეს დილას გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოკითხვის შედეგად ლიგის MVP და სიმბოლური პირველი და მეორე ხუთეულები გამოვლინდნენ. ძალიან გასახარია, რომ ორივე ხუთეულში ქართველები მოვხვდით, რასაც ყველა ჩვენს ქომაგს, ქართველს თუ არაქართველს, გულითადად ვულოცავ. თორნიკე შენგელიას ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და ის პირველ ხუთეულში მოხვედრას იმსახურებდა. მოხარული ვარ, რომ ეს ტიტული მეორედ მოვიგე. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ კორონავირუსის შემდეგ განახლებული ფინალური ფაზის თამაშებში ვერ ვიყოჩაღეთ. „ტენერიფემ“ საწყისი 2 მატჩი წააგო და ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგა. სამაგიეროდ, სასიხარულოა, რომ ნახევარფინალშია თორნიკე შენგელიას „ბასკონია“, რომელიც „ვალენსიას“ ხვდება და იმედი მაქვს, ფინალში გასვლასაც მოახერხებს“.**

ვიტალი ჯაფარიძე

თბილისში ამ ეტაპზე სასტუმრო არავის სჭირდება!

ტურისტული ზონებიდან ყველაზე დიდი ზიანი თბილისს მიადგება, – ამის შესახებ Galt & Taggart-ის ახალ კვლევაში – „ტურიზმის გამოწვევები 2020 წლის II ნახევარში“ არის აღნიშნული. თბილისის შემდეგ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აჭარა და მცხეთა-მთიანეთი იქნება. კვლევაში აღნიშნულია, რომ 2020 წელს შიდა ტურიზმი მნიშვნელოვანია სექტორში კრიზისის შესამსუბუქებლად, თუმცა მისი წონა მცირეა, რადგან ადგილობრივი ტურისტების წილი სასტუმროებში მხოლოდ 26%-ია.

„თბილისსა და რეგიონში 150-მდე სასტუმრო გამოვკითხეთ, რომ გაგვეგო მათი მოლოდინები. მნიშვნელოვანი არის შიდა ტურიზმი, ის ერთ-ერთი საშუალებაა კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ საქართველოში მისი წილი დაბალია. თბილისის სასტუმროებს არანაირი მოლოდინი არ აქვთ, რადგან შიდა ტურიზმი თბილისზე არ არის აწყობილი, თუმცა რეგიონებში ნაწილობრივ ამის იმედი აქვთ. ზოგიერთ ტურისტულ რეგიონში კრიზისის ეფექტი უფრო მწვავე იქნება, რადგან მეტადაა დამოკიდებული უცხოელ ტურისტებზე, მაგალითად შემიძლია დედაქალაქი მოვიყვანო, სადაც 2019 წელს ადგილობრივი სტუმრების წილი სასტუმროებში მხოლოდ 13%-ს შეადგენდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია“, – განმარტავს „კომერსანტთან“ საუბრისას Galt & Taggart-ის უფროსი სპეციალისტი კახა სამყურაშვილი.

სასტუმროში Biblioteka Rustaveli „კომერსანტს“ განუმარტეს, რომ ამ დრომდე სასტუმრო დაკეტილია და ჯავშნები არც მომდევნო თვეებისთვის აქვთ.

„სასტუმრო დაკეტილი გვაქვს, რადგან თუ არ იქნება საერთაშორისი ტურისტები, ჩვენს გახსნას აზრი არა აქვს. წელს აქცენტი შიდა ტურიზმზე კეთდება, თბილისში კი ამ შემთხვევაში არავის სჭირდება სასტუმრო, განსაკუთრებით, ზაფხულის პერიოდში. მაგალითად, წინა წლებში სასტუმროში მხოლოდ 5% იყო ქართველები, დანარჩენები სულ უცხოელი ტურისტები გვყავდა. მართალია საზღვრების გახსნას გეგმავენ, თუმცა ამ დრომდე არც ერთი ჯავშანი არ გვაქვს, ტურისტული კომპანიებიც კი ვისგანაც ჯგუფური ჯავშნები გვქონდა ხოლმე, შემოდგომაზეც კი გაუქმებულია, არათუ ზაფხულში. ფაქტიურად უფუნქციოდ ვართ დარჩენილები, მართალია ეს სხვა ქვეყნებსაც ეხებათ, ამიტომ მოლოდინის რეჟიმში ვართ და იმედი გვაქვს ავიამიმოსვლა მალე აღდგება“, – აცხადებენ სასტუმრო Biblioteka Rustaveli-ში.

სასტუმროში „მუზეუმი“ „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 5%-ია დაკავებული და არც უახლოეს პერიოდში ელოდებიან ვიზიტორების ზრდას, რადგან გათვლა ძირითადად უცხოელ ტურისტებზე ჰქონდათ.

„შიდა ტურიზმთან დაკავშირებით არანაირი დადებითი მოლოდინები არ გვაქვს. ჩვენ ძირითადად უცხოელ ვიზიტორებზე ვართ დამოკიდებული, ქართველები იშვიათად გვსტუმრობდნენ. ამ ეტაპზე საერთაშორისო ტურიზმიდან ჯავშნები ყოველდღიურად იხსნება. ერთ-ერთი პირველები ვიყავით ვინც გავიხსენით, თუმცა ამ ეტაპზე სასტუმროს მხოლოდ 5% არის დაკავებული, მნიშვნელოვან ცვლილებებს არც უახლოეს პერიოდში ველოდებით. მართალია, იმედი გვაქვს, რომ პირველი ივლისიდან ვითარება გამოსწორდება, მაგრამ დღეის მდგომარეობით წელს არც ერთი ჯავშანი არ გვაქვს, ადრე დაჯავშნილებიც გააუქმეს, ახლებს კი არავინ აკეთებს. თუმცა, ჩვენთან საზღვრების გახსნა განსაკუთრებულს არაფერს შეცვლის თუ ავიამიმოსვლა სხვა ქვეყნებმაც არ აღადგინეს“, – განაცხადეს სასტუმრო „მუზეუმში“.

ნინო თამაზაშვილი





ღვინის ეროვნული სააგენტო აქცენტს ონლაინ-კამპანიებზე აკეთებს

წლების განმავლობაში, ქართული ღვინის ექსპორტის სტაბილური მატების დინამიკა 2020 წლის პირველ კვარტალში კლებით შეიცვალა, მსოფლიოში შექმნილმა ახალმა რეალობამ ღვინის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, მაშინ როდესაც ექსპორტი 10 პროცენტით შემცირდა, სრულად გაჩერდა შიდა გაყიდვები. არსებული პრობლემების მოგვარებაში ჩართულია როგორც ბიზნესი ისე საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო უწყებამ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის ალტერნატიული გზების მოძიებაზე დაიწყეს ფიქრი. აღნიშნულ საკითხზე კომერსანტთან დეტალურად ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა საუბრობს. იგი აცხადებს, რომ უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები მსოფლიოში უდიდესი ონლაინ ღვინის ბაზართან: **„ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამა 2013 წლიდან გვაქვს, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო გვიწევს ამ პროგრამის სახეცვლილება. აქცენტს ვაკეთებთ სოციალურ ქსელებზე, ძირითადად ონლაინ მარკეტინგზე გადავედით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი კონტრაქტორი მოლაპარაკებებს აწარმოებს Wine.com- თან, კომპანიასთან რომელიც ღვინის ონლაინ გამყიდველია. გერმანიაში კი vivino-თან მიმდინარეობს კომუნიკაცია, რათა ონლაინ სივრცეში მოხდეს ქართული ღვინის კატეგორიის შექმნა. vivino არის ღვინის მობილური აპლიკაცია, სადაც ხდება ღვინოების გაცნობა, შეფასება და ყიდვა“,** – აცხადებს ლევან მეხუზლა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქართული ღვინო, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ღვინო მსოფლიო მასშტაბით დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ სასტუმროების და რესტორნების დიდი ნაწილი დაიკეტა, ხოლო ნაწილი უამრავი შეზღუდვით აგრძელებს ოპერირებას. ლევან მეხუზლა გვიყვება, რომ 2020 წელს დაგეგმილი ყველა საერთაშორისო გამოფენა გაუქმებულია, თუმცა გაუქმებული გამოფენების ხარჯზე, სააგენტო ცდილობს, არსებული რესურსი სწორედ ონლაინ-კამპანიებისკენ მიმართოს.

„ყველა გამოფენა გაუქმებულია, თვითონ გამოფენის ორგანიზატორები ცდილობენ, გამოფენის ალტერნატიული ვარიანტები მოიფიქრონ, რადგან მათ ინტერესებშიც შედის, რომ ამ გაუქმებული გამოფენების სანაცვლოდ რაიმე ალტერნატივა შესთავაზონ როგორც მომხმარებლებს ისე დარგის წარმომადგენლებს. იქედან გამომდინარე, რომ ვერ ხდება იმპორტიორების ჩამოყვანა და მარნების ადგილზე გაცნობა, აქტიურად ვეხმარებით მარნებს ნიმუშების გაგზავნაში, რათა ჩვენი პარტნიორების საშუალებით იმპორტიორებს იქ მივაწოდოთ ნიმუშები და შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ მათი კომუნიკაცია. ინგლისში ჩვენმა პარტნიორმა გაუკეთა ორგანიზება ონლაინ კონფერენციას, სადაც აქედან გაგზავნილი ღვინის ნიმუშები გაასინჯა იმპორტიორებს და ამავდროულად მწარმოებლებთან მოხდა კომუნიკაცია. ონლაინ რეჟიმში იქ სინჯავდა იმპორტიორი და აქ კითხვებს პასუხობდა მწარმოებელი. ჩვენი კონტრაქტორები ცდილობენ, მოერგონ არსებულ სიტუაციას. გარდა ამისა, სოფლის განვითარების სააგენტო საბანკო სესხის გარკვეულ პროცენტს აფინანსებს“, – განაცხადა ლევან მეხუზლამ.

ლევან მეხუზლას თქმით, ექსპორტის თვალსაზრისით10-პროცენტიანი კლება ობიექტური რეალობიდან გამომდინარეა.მისი განმარტებით,ეს დიდი რიცხვი არაა,თუმცა დარგზე აისახება და სექტორს დამატებით სირთულეებს შეუქმნის.

„ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ამ პანდემიიდან გამომდინარე პროგნოზირების გაკეთება შეუძლებელია, რადგან რეალობა ყოველდღიურად იცვლება, ველოდებით წლის პირველი ნახევრის შედეგებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ, მატულობს თუ არა ექსპორტის დეფიციტი, ამის შემდეგ უკვე შეგვეძლება კიდევ უფრო ზუსტად დავგეგმოთ ჩვენი სტრატეგია“, – განმარტავს ლევან მეხუზლა.

შეგახსენებთ, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2019 წელი ღვინის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებლებით დასრულდა. გასულ წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში, 94 მილიონამდე ბოთლი ღვინო გავიდა, რაც 2018 წლის რაოდენობას 9%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება კი, ჯამში 240 მლნ. აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 17%-ით მეტია.

ბაჩო ადამია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელდარ კულიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელდარ კულიევი (პ/ნ 36001026654), საგარეჯო, ს. ლამბალო

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, ს. ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.52.612https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 81610.77 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 29 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66386720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 663867

6. **მოვალე:** ელდარ კულიევი (პ/ნ 36001026654), საგარეჯო, ს. ლამბალო;
ქიამანდარ კულიევი (პ/ნ 36001006625), საგარეჯო, ს. ლამბალო;
მამად ისაევი (პ/ნ 36001036492), საგარეჯო, ს. ლამბალო, პირველი 9 ჩიხი №2.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66386720; ლოტის ნომერი: 663867).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 ივლისის 10:00 საათამდე.

არდავიწყება

ნანა ღვინეფაძე

დები რუსუდან, გულიკო, დოდო, მარინა, ძმა დათო, რძალი ლარისა ღვინეფაძეები, სიძეები გაიოზ ხატიაშვილი, კოტე შენგელია, ზურაბ არახამია, ძმისშვილები გიორგი, სევერიან, დავით ღვინეფაძეები ოჯახებით, დისშვილები ირაკლი, ნინო, ნათია ხატიაშვილები, თამარ, ქეთევან შენგელიები, მაია, დავით არახამიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პოეტი, თეატრმცოდნე

ნანა ღვინეფაძე

პანაშვიდი: 29 ივნისს 5 საათზე, ნუცუბიძის პლატო, ‖ მიკრორაიონი, ‖ კვარტალი, მე-4 კორპუსი, მე-3 სართული, ბინა 9.

გამოსვენება სამშაბათს, 30 ივნისს, 2 საათზე, ქაშუეთის ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ ქართულ მწერლობას, ქართულ ჟურნალისტიკას გამოაკლდა გამორჩეულად კოლორიტული პიროვნება და შემოქმედი, წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის წამყვანი ჟურნალისტი (კულტურისა და ხელოვნების განყოფილების რედაქტორი), უზადო ხელწერის მქონე პუბლიცისტი, პოეტი, თეატრმცოდნე, მრავალი სახელმწიფო და ჟურნალისტური ჯილდოს მფლობელი, ნიკო ნიკოლაძისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიის „ოქროს ფრთის“ ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი

ნანა ღვინეფაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

ნათელი დაადგეს ამ დიდებულ ქალბატონს, ქვეყნისთვის დამაშვრალ მოღვაწესა და პიროვნებას.

წიგნები ავღანეთში გაიგზავნება

ავღანეთში „წიგნის კუთხის“ შესავსებად სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკისგან წიგნები გადაეცათ. ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოყოფილი მხატვრული, ისტორიულ-დოკუმენტური და სამეცნიერო ლიტერატურის გადაცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიახლში“ გაიმართა. ავღანეთში მყოფი სამხედროებისთვის წიგნებს პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონი ჩაიტანს, რომელიც როტაციით საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება.

თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2017 წელს გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, ბიბლიოთეკამ თავდაცვის ძალების რამდენიმე სამხედრო ბაზას წიგნები საჩუქრად უკვე გადასცა. „წიგნის კუთხე“ მოეწყო ავღანეთშიც. მემორანდუმის მიზანი სხვადასხვა სახის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიების განხორციელების ხელშეწყობაა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ძლიერი ისტორიის საფუძველზე ჩვენ ავაშენებთ ძალიან ძლიერ მომავალს

საფრანგეთის ელჩმა დიეგო კოლასმა სამეგრელოში სამდღიანი ვიზიტი დაასრულა. ვიზიტის ფარგლებში კოლასი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულს ალექსანდრე მოწერელიას და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა. მან ასევე შეხვედრები გამართა ეპარქიების ხელმძღვანელებთან და არასამთავრობო სექტორი წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ბოლო დღე ელჩმა მარტვილში, სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად დადიანების სალხინოს რეზიდენციასა და მარტვილის საკათედრო ტაძარში გაატარა. სტუმრებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გრიგალავამ და ჭყონიდელმა ეპისკოპოსმა მეუფე გრიგოლ კაციამ უმასპინძლეს.

„მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები აქ, ეს არის სტუმართმოყვარე სამეგრელოში ჩემი ვიზიტის ბოლო დღე. ჩვენ გვქონდა ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი, მრავალი მიზეზის გამო. განვიხილეთ ისეთი საკითხები როგორიცაა ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარება, ტურისტული პოტენციალის განვითარების საკითხები და ამ სფეროებში თანამშრომლობა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ძლიერი ისტორიის

საფუძველზე, ჩვენ ავაშენებთ ძალიან ძლიერ მომავალს. ჩვენ შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას, გავეცანით სხვადასხვა ადგილებს, მადლობას გამოვხატავ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მიმართ გაწეული მასპინძლობისთვის“, — გაანაცხადა ელჩმა დიეგო კოლასმა ვიზიტის დასასრულს.

დაასუფთავეს სიონის ტბის მიმდებარე ტერიტორია

ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სიონის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია გაიმართა. ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსთან არჩილ ნიკოლეიშვილთან ერთად, აქციაში მონაწილეობა საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა — მსახიობებმა, სპორტსმენებმა, სამოქალაქო აქტივისტებმა და ჟურნალისტებმა მიიღეს.

იტალიაში გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტის ცხედარი... თურქეთში დარჩათ!!!

იტალიაში გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტის ნინო ნარუშვილის ოჯახი დახმარებას ითხოვს. გარდაცვლილი ემიგრანტის შვილის, თათია გაბიჩვიძის ინფორმაციით, ცხედარი, რომელიც იტალიიდან თბილისში დღეს უნდა ჩამოესვენებინათ, თვითმფრინავში არ აღმოჩნდა.

გარდაცვლილის ოჯახი ცხედარს თბილისის აეროპორტში ელოდებოდნენ, თუმცა როგორც შვილი აცხადებს, მიიღეს მხოლოდ საბუთები, მაგრამ თავად ცხედარი თვითმფრინავში არ იყო.

გარდაცვლილის ოჯახი პასუხისმგებლობას თურქულ ავიაკომპანიას აკისრებს, რომელმაც სპეციალური რეისი იტალიიდან განახორციელა. თათია გაბიჩვიძის ინფორმაციით, იტალიიდან წამოსული ავიარეისი, ჯერ თურქეთში დაეშვა, თურქეთიდან კი სამშობლოში სხვა რეისით უნდა გადმოესვენებინათ ცხედარი, თუმცა, მისივე თქმით კომპანიის უპასუხისმგებლობის გამო, ცხედარი თურქეთშივე დარჩათ.

კომპანიამ აღნიშნულთან დაკავშირებით გარდაცვლილის ოჯახი საქმის კურსში არ ჩააყენა და სატელეფონო საუბრისას შვილს კომპანიისგან განემარტა, რომ ადგილი არ აღმოჩნდა მიცვალებულისთვის და ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა. თურქეთიდან საქართველოში, მომდევნო სპეცრეისი 2 ივლისს უნდა განხორციელდეს, თუმცა ოჯახი ითხოვს ცხედრის უფრო ადრე გადმოსვენებას. **52 წლის ნინო ნაროშვილი 10 წელი იტალიაში ემიგრაციაში იმყოფებოდა. ის 4 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიძოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.0556;
ევრო - 3.4317;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7920;
100 რუბლი - 4.4060;
თურქული ლირა - 0.4457;
ავსტრალიური დოლარი - 1.7974;
1000 სომხური დრამი - 6.3533.

ამინდი 29 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +29
თბილისი: ღამე +17, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge